№ 34

სამშაბათი, 22 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 34

სამშაბათი, 22 მარტი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან. რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვები ა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ —ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კრონინისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

სამართლიანი მოთხოვნილება.

შეიძლება, ჩვენს მკითხველებში იყვნენ ისეთებიც, რომელთაც თავის დღეში არ ენახოთ სტამბა და არ იცოდნენ, თუ როგორია სტამბაში მუშაობა. შეიძლება ისიც, რომ ბევრი სტამბასაც იცნობდეს და იქ მომუშავეთა ქაპან-წყვეტაც თავის თვალით ნანახი ჰქონდეს, მაგრამ ყოველ დღე, გაზეთის კითხვის დროს, გაზეთის შინაარსით ჩაფიქრებულს ან გატაცებულს, იშვიათად ახსენდებოდეს ის დიდი შრომა და მთელის ღამით უძილობა, რომელსაც ეწევიან გაზეთის უჩინარი მუშაკნი—ასოთ-ამწყობები. უეჭველია, არ შევსცდებით, თუ ვიტყვით, რომ ას მკითხველში, იქნება, ერთს მოაგონდეს გაზეთის კითხვის დროს ხსენებული მუშაკნი და გაითვალისწინოს, რომ ის ნაბეჭდი ფურცელი ქაღალდი, რომელსაც იგი დილას, კარგად გამოძინების შემდეგ, სიამოვნებითა თუ უსიამოვნოდ ათვალიერებს, ნაყოფია ოციოდე კაცის შრომისა, რომელნიც მთელის დღისა და ღამის განმავლობაში ამ ერთ თაბახ ქაღალდის მასალას თავს დასტრიალებენ და მკითხველისთვის ამ მასალის გაზეთის სახით მისაწოდებლად ჯანს იგდებინებენ,

თითოეული მკითხველი უნდა გამოტყდეს, რომ ეს ასეა, რომ იგი, ვითარცა „გაზეთის მომხმარებელი“, გაზეთისაგან ყოველ დღე ცოცხალ და საინტერესო ამბებს თხოულობს, ხოლო ამ ამბების დამკოწიწებელ და დამბეჭდავ მუშაკებს ივიწყებს და მათ ცალიერ მადლობასაც კი არ უთვლის...

ნამდვილად კი გაზეთის საქმეში ასოთ-ამწყობები მწერლებზე ნაკლებ როლს არ ასრულებენ, და მკითხველი საზოგადოება ვალდებულია, არა თუ სრულიად დაივიწყოს, ყველაზე უწინ ეს მუდამ ტყვიის ასოებით გამურული და სარდაფებში მცხოვრები ხალხი გაიხსენოს, რომელიც სხვებისთვის სინათლეს ავრცელებს და ამისათვის თავის თავს წმინდა ჰაერს აკლებს და ჯანს იწყალებს. მუდამ მტვერი, მუდამ სველი და ნახევრად ბნელი სადგომი, გაფუჭებული ჰაერი და შეუწყვეტელი ღრიანცელი—აი რაგვარ ადგილას უხდება ამ ხალხს მუშაობა და ღამეების გათეთრება. მზა-მზარეულად მორთმეული გაზეთი ადვილი წასაკითხია, მაგრამ ისე ადვილი და სასიამოვნო არაა ის შრომა, რომელიც ასოების დალაგებასა და დაბეჭდვას სჭირდება. ამიტომ თითოეული ჩვენგანი ვალდებულია ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ამ ხალხს და ისეთ შრომის პირობებში ჩააყენოს, რომ მათს ჯანმრთელობას უდროვოდ ბოლო არ ეღებოდეს და მშრომელს ადამიანურად ცხოვრების საშუალება ეძლეოდეს. მკითხველმა ისეთი მოთხოვნილება არ უნდა წარუდგინოს გაზეთს, რომლის აღსრულებაც მუშებსა ვნებს და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას აბრკოლებს.

ერთი ამგვარი მუშების დამაბრკოლებელი ჩვეულება შეთვისებული გვაქვს დღეს რედაქტორ-გამომცემლებსაც და მკითხველებსაც. ეს ჩვეულება შეეხება კვირაობით გაზეთის ბეჭდვას და ორშაბათობით მკითხველებისთვის დარიგებას. რასაკვირველია, სასიამოვნოა ორშაბათსაც გაზეთის წაკითხვა და ახალი ამბების გაგება, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ სიამოვნების გულისთვის კვირა დღეს მუშები სტამბას ვეღარ შორდებიან და ამგვარად მთელს კვირაში ერთ დღესაც კი ვერ ახერხებენ დასვენებას.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ქვევით ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილებას, რომელიც მათ მესტამბეებსა და გაზეთების რედაქციებს წარუდგინეს. იქ, სხვათა შორის, მუშები თხოულობენ, რომ ორშაბათობით გაზეთის გამოცემა მოისპოს და ამნაირად ისინი კვირა დღეს მუშაობისაგან განთავისუფლებულ იქმნენ.

ეს ისეთი სამართლიანი მოთხოვნაა, რომ არ შეიძლება იგი კანონიერად არა ვსცნოთ და მუშების სურვილს ჩვენც არ შევუერთდეთ. ყველა განათლებულ ქვეყნებში თვით ვაჭრები და მრეწველები ცდილობენ კვირაობით მუშაობა მოსპონ და მუშა ხალხს თავისუფლება მისცენ. და ნუ თუ გაზეთების რედაქციები, რომელნიც მუდამ სამართლიანობასა ვქადაგებთ, ამ მხრით ფაბრიკანტებზე დაბლა უნდა ვიდგეთ და ვიცდიდეთ, სანამ ამ მოთხოვნილების შესრულებას თვითონ მუშები არ გვაიძულებენ?

რასაკვირველია, მარტო ერთი გაზეთის რედაქციას არ შეუძლია ამ მოთხოვნილების შესრულება, სანამ ყველა რედაქციები არ შეთანხმდებიან; არ შეუძლია იმიტომ, რომ იმ დაწყევლილ კონკურენციას გაზეთის საქმეშიაც აქვს მნიშვნელობა...

ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად ვთვლით, ყველა ადგილობრივ ყოველდღიურ გამოცემათა რედაქტორ-გამომცემლებმა, რაც შეიძლება, მალე ერთად თავი მოიყარონ, ითათბირონ და ასოთ-ამწყობთა მოთხოვნილება სავსებით დააკმაყოფილონ.

ქართლის ამბები

წერილი ალიდან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

სოფელი ალი დიდი სოფელია და შეიცავს 150 კომლს. მოძრაობამ თავი აქ დიდის სიძლიერით იჩინა. მოძრაობა აღმოცენებულია, როგორც სხვაგან, პოლიტიკურსა და ეკონომიურს ნიადაგზე. მცხოვრებნი ერთობ ღარიბად ცხოვრობენ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მთელი ალი მღვდლებიან-გლეხებიანად სამიოდ ჩარჩის ხელშია. გლეხები გადაჭრით ამბობენ:

— თითოეულს გლეხს თვეში რომ ასი თუმანი გვქონდეს, მაინც ცუდად ვიცხოვრებთ, რადგანაც ჩვენი სულიცა და ხორციც ჩარჩების ხელშია. სასამართლოში სამართალს ვერა ვპოულობთ, მაზრის უფროსთან საჩივარი არ გავვდის, ბოქაულიც ყურ-წაყრუებულია და ჩვენ იძულებულნი ვართ, ხმა გავკმინდოთ... როდესაც გაჭირვებამ ყველანი ერთხმად აგვალაპარაკა, მთავრობამ ეგზეკუცია ჩაგვიყენა ..

გლეხები ნამეტნავად უჩივიან ერთ ჩარჩს—დ. ჯანოევს, რომელმაც უკვე, რამდენიმე წელიწადია, თავისი მოქმედება სხვა სოფლებშიაც გადაიტანა და ათასნაირის ხრიკებით თავად-აზნაურთა მამულები ხელში ჩაიგდო. გლეხებს ყველას ახსოვს მისი წარსული, როდესაც საშინელ სიღარიბეში იყო. ახლა კი იგი გლეხკაცებს აღარც კი კადრულობს და მუდამ ცილინდრითა და საუკეთესო ტანისამოსით დაიარება. ჯერ კიდევ შარშანწინ ალშივე იყო გორის მაზრის უფროსი და მთელმა სოფელმა ცრემლებით შესთხოვა:

— ჯანოევი მოგვაშორე, სისხლში ნუ შეგვიყვან. ერთი საწყალი ხალხი ვართ, სული და დაგვრჩენია და სულებსაც ლამის დაეპატრონოს. შენი ჭირიმე, მოგვაშორე, მოგვაშორე...

მაზრის უფროსმა მოისმინა გლეხთა მუდარა და აღუთქვა სოფელს, ჩავალ თუ არა გორში, ჯანოევს დავიბარებ და დიდს დახმარებას გაგიწევთ ამ საქმეში. ჯანოევი მაზრის უფროსმა დაიბარა. არავინ იცის, რა უთხრა, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ შეტუქსულ იქმნა აულაგმელ სახარბე-გაუმაძღრობისთვის. ეს კი ბევრმა იცის, რომ ჯანოევი როგორც კი დაბრუნდა გორიდან, ორჯელ ზედი-ზედ მიუტანა ძღვენი ხაშურში სურამის ბოქაულს და ბოქაულმა ორჯელვე მიტანილი ძღვენი თავში ახალა და დიდის შეურაცხყოფით გამოაბრუნა.

შარშან იმავე ჯანოევმა მთავრობას განუცხადა, ჩემს მოურავს გლეხნი დაეცნენ მოსაკვლელად და ჩოხა და შარვალი გაუჭრესო. გაჭირვებულს ხალხს ეგზეკუცია ჩაუყენეს.

ალში მე 19 მარტს მივედი, საღამოს. ლაპარაკი ჩამოვარდა ჯანოევზედაც, რადგან ალელ გლეხებისთვის იგი ლაპარაკის დაუშრეტელ საგნად გახდარა.

„ნეტა იცოდე, როგორ ხრიკებს ხმარობს გლეხების გასაძარცვავად, - მითხრა ერთმა გლეხმა. —როგორც კი დაინახავს, რომ გლეხი ცოტა წელში გაიმართა და სახლი აიშენა, იმას მოსვენება ეკარგება, ვიდრე ამ სახლს ხელში არ ჩაიგდებს. მან კარგად იცის, რომ ვალში სახლის აწერა არ შეიძლება. ამიტომ გლეხს აძლევს 5—6 თუმანს და ხელწერილს ართმევს: ჩემი სახლი ჯანოევს 20 თუმნად მივყიდე და ახლა შიგ ქირით ვდგევარო. გლეხი მოვალეა, დანიშნულ დროზე თუ არ გადაიხდის ფულს, სახლი ჯანოევს მისცეს:“

ლაპარაკი არ დაესრულებინა, რომ საშინელი ზარების რეკა ასტყდა. გარედ გავცვივდით. მთელი სოფელი ცეცხლის ალით წითლად იყო განათებული. საბედნიეროდ, ცეცხლი სოფელს გარედ იყო, საკირესთან, სოფლიდან ნახევარ ვერსის სიშორეზე. მთელი ალის გლეხობა საკირესკენ გაიქცა.

მეორე დილას ათ საათზე ეკლესიისკენ გავიარე. წირვა გათავებულიყო და მთელი სოფლის გლეხნი ეკლესიის გალავნის გარედ შეკრებილიყვნენ. საშინელი და გულ-საკლავი სურათი იყო.

დაკონკილი გლეხები იდგნენ თავდახრილი, ზოგი თვალ-ცრემლიანი და მწუხარედ ჩასჩერებოდნენ ერთს წერტილს. დუმილს მხოლოდ მწარე ოხვრა არღვევდა. მე შევნიშნე, რომ ზოგს ხელი ჰქონდა დამწვარი, ზოგს მაზარის ბოლო ქონდა მომწვარი. მივუახლოვდი გლეხებს და ვკითხე მიზეზი მწუხარებისა.

— რაღა რა ამბავია, ყმაწვილო,—დაიწყო ასე 70 წლის მოხუცმა,—ჩვენი უბედურობის დღეა. ყველანი ჩვენა გვქელავენ. წუხელის ვიღაც თავზე ხელ-აღებულმა ჯანოევის შეშას წაუკიდა ცეცხლი. სულ ცხრა საჟენი იყო. 5 საჟენი გადავარჩინეთ. ზოგს ხელი დაგვეწვა, ზოგს—ფეხი.

აქ ყველამ დაიწყო ლაპარაკი. ერთმა სთქვა: — ვის რად გვინდოდა მისი შეშის გადაწვა. ამით რა ზარალს მივაყენებთ. თუ ჩვენ მისი გადაწვა გვინდოდეს, შეშის გვერდზე კირის უზარმაზარი ქარხანა უდგია, იმას გადავწვავდით: ან სახლს გადავუწვავდით. ჩვენ ეს არ გვინდა. თუ ის კარგი კაცია და სულიც წმინდა აქვს, რატომ სოფელში არ არის, საქვეყნო საქმეში რატომ არ გვემხრობა?.. ორი კვირაა, ქალაქში გაიპარა...

გლეხებთან ჯანოევის მოურავიც (სახელად გიორგი) მოვიდა. ეს იყო შუახნის კაცი. გარეგნობით მართალი კაცის შესახედაობა აქვს. როცა ცეცხლი წაეკიდა საჟენებს, მაშინ ქარხანაში ყოფილიყო. მან სთქვა:

— მე დარწმუნებული ვარ, ეს სოფლელების გადამწვარი არ არის. თუ სოფელს გადაწვა ნდომოდა, მაშინ გადაწვავდა, როცა იქ 200 და 300 საჟენი შეშა ეწყო, ჩემი სული ყველას მირჩევნია—და სიმართლე უნდა ვთქვა ..

გლეხები დარწმუნებულნი არიან, რომ ჯანოევის ერთ-ერთმა კაცმა წაუკიდა ცეცხლი იმ აზრით, რომ ჯარი გამოიწვიოს და შარშანდელებრ აგვაწიოკოსო.

— მონები ვართ, მონები,—სთქვა ერთმა,— ფულსაც ბევრს გვახდევინებს, ჯარსაც სახლებში გვიყენებს და ყველასთან კარგი კაციც ეგ გამოდის...

გლეხებისთვის მღვდელს ეთქვა, რომ მე კორესპონდენტი ვიყავი, და მთელი სოფელი შემეხვეწა:

„შენი ჭირიმე, აცნობე გაზეთს ჩვენი ამბავი. აქ მღვდელი გაზეთს გვეკითხავს ხოლმე და ძალიან მოგვწონს. რადგან გაზეთები ჩვენს გაჭირვებას ქვეყანას აგებინებენ, შეგვახვეწე გაზეთსა, შენი ჭირიმე, მთელი სოფელი გთხოვთ... რაც გიამბეთ, ყველაფერი მართალია. მთელი სოფელი ფიცს ქვეშ დავამტკიცებთ... საქმეს კარგად გამოვიძიებთ და გავიგებთ, რომელი კაცი ჰყავდა მოსყიდული ჯანოევს“..

ყველა აქ ჩამოთვლილ ამბებს, თუ საჭირო იქნება, დაამოწმებს მთელი ალი და რამდენიმე კაცი, რომელნიც წინად ბოქაულთან მსახურობდნენ...

ამ სოფელს დიდხანია კავშირი გაუწყვეტია ადმინისტრაციასთან და მის საქმეებს ხალხის მიერ არჩეულნი კაცნი განაგებენ. გლეხები პატივისცემით იხსენიებენ ძმ. დიასამიძეებს, რადგან ამათ განუზრახავთ გლეხებს შეღავათი მისცენ და მდგომარეობა შეუმსუბუქონ.

რ—ბ—ლი.

ხმა კახეთიდან

17 მარტს, დილით, საგარეჯოს გლეხობამ მოიყარა ადრიან თავი და გაჩეხა ტყე, „ალინჯიდ“ წოდებული, რომელიც სოფელს მუდამ საფიჩხედ ეჭირა და ეს ათიოდე წელიწადია, «ლესნიჩმა» სახელმწიფოდ გახადა და წკირს არავის აჭრევინებდა.

აქედან ხალხი ამოვიდა სოფელში და მიადგა თავის აშენებულ მშვენიერ სკოლას, რომელიც 5,000 მ. ნაღდი დაუჯდათ. გამოიყვანეს სამივ მასწავლებლები გარედ (იმათში მხოლოდ ერთია ქართველი) და უთხრეს დალაგებით: «გავტყავდით, 1,000 მ. წელიწადში, ხომ იცით, ჩვენის ჯიბიდან გაძლევთ ჯამაგირს, შუშა უკლებლივ გაქვთ, სტოროჟი. გვეგონა, ჩვენ შვილებს ჭკუაგონებას ასწავლიდით და თქვენ კი გამოგვიტვინეთ შვილები, —აყვირებთ „კოზლიკი საბაკას“ და ქართულად სახელსა და გვარს კი ვერ მოაწერენ... გვეყო ამდენი ღლეტა! გაგვეცალენით აქედან, თორემ ვეღარ მოვითმენთო“. ამის შემდეგ დაამტვრიეს ფანჯრები სკოლისა, დახიეს რუსული რვეულები, რუსული წიგნები, გამოუყარეს ბარგი მასწავლებლებს და მეორე დღესვე გამოგზავნეს ქალაქში. უფროსი მასწავლებელი რუსია და ინჩი არ იცის ქართულისა...

აუარეს სამრევლო სკოლას, გამოუძახეს მასწავლებელ ქალს და უთხრეს: მღვდელს მოახსენე, ქართულად გვისწავლოს შვილებს და დიდი მადლობელი ვიქნებით, მხოლოდ თუ რუსულითაც გამოგვიყრუებთ შვილებს, სკოლა თქვენ ხარჯზეა, მაგრამ არც ეგ გვინდაო... ამასთან აქაც დახიეს რუსული რვეულები, რომელიც მასწავლებელ ქალს გამოატანეს.

მიადგნენ სასოფლო ქსენონს, გამოიყვანეს გარედ ფერშალი და დაკეტეს. ამასთან ფერშალს უთხრეს: „აღარ გახსნაო!. ექიმს წელიწადში 2,000 მ. მეტი აქვს ჯამაგირი და ხალხს კი მასხარად გვიგდებს—სულ ქალაქში ცხოვრობს, აქ კი წელიწადში ორჯერ არ გვეჩვენება თვალითაო...“ მიადგნენ აფთიაქსაც. აახრეს უშველებელი რუსული „ვივესკა“, აჰკიდეს კაცებს და წაადებინეს. მერე გამოიყვანეს გარედ აფთიაქარი — რომელიც, მართლა არავინ იცის, ურიაა, პოლონელი, ფინი, რუსი თუ სხვა ვინმე,—და ამასთან უთხრეს: „ხვალვე თავიდან მოგვწყდი. კუდი-კუდზე გადაგიბამს აქაურ ფერშალ-ექიმებთან და ტყავს გვაძრობთ წამლების ძვირად ყიდვითაო.. შენ წადი, ჩვენს ჩვენ კაცს ვიყოლიებთო.

ავიდნენ აქციზის ჩინოვნიკთა სადგურში. უფროსი და უმცროსი ჩინოვნიკებიც წასულიყვნენ, მაგრამ მაინც დაუმტვრიეს ფანჯრები, დახიეს საქმეები, მოიტანეს იქვე ქვაბები და სცადეს არაყის გამოხდა... ხალხი აქციზის შესახებ მეტად გულნატკენია: ვენახი ღვინოზე მეტ შემოსავალს არაყიდან იძლეოდა... არაყით მივდიოდით იოლად, დღეს ყველაფრიდან სული შეგვიხუთეს და არყის ხდაც ხელიდან გამოგვაცალესო. თუ არაყზე აქციზი არ გადავარდა, ჩვენ წელში ვერ გავიშლებითო. ამიტომ ამ საქმეზე თავგადაკლულები არიან.

საზოგადოდ, გლეხობას შეგნებული აქვს თავისი აუტანელი მდგომარეობა და ნურც უბრალო მოძრაობად ჩასთვლის ვინმე ამ მოძრაობას. პატარას ჰკითხავ თუ დიდს, ყველა ნათლად გიხსნის გლეხის აწინდელ მდგომარეობის აუტანლობას.

18 მარტს საგარეჯოს გვერდზე მდებ სოფელ გიორგიწმინდაში ზარის რეკა ასტყდა. ხალხმა თავი მოიყარა და ქვაბებს აძრო ბექდები. აქაც რუსი მასწავლებელი ქალი ურემზე დასვეს და ქალაქისკენ გამოისტუმრეს: „შენ ბალღებს არას გვისწავლიო“. გარდა ამისა, დაანგრიეს ლობე და და დახეთქეს ალაყაფის კარები ვიღაც მაკედონსკისა. ეს უკანასკნელი საქმე აგრარულ ნიადაგზეა აშენებული, ხოლო აგრარულ ნიადაგს აწინდელ მოძრაობაში დიდი ადგილი უჭირავს.

საგარეჯოსა და მაღაროში მამულები ბლომად იყო, მაგრამ გარეჯელი დღეს მაინც უმამულოდ კვდება. მოხელეები და ადგილობრივი მემამულეები მუდამ ცდილობდნენ, რომ მიწები, ქრთამითა თუ ფასის აღებით, ვიღაც-ვიღაცეებისთვის დაერიგებინათ და ადგილობრივ გლეხებს, ყურადღებას არ აქცევდნენ. თავ. ჩოლოყაშვილმა ზედ სოფლის ხლოს 900 დესეტინა მამული სპარსელ კროის მიჰყიდა. „საქათალიკოზო“ 500 დეს., მუდამ სოფლის იჯარის ქვეშ მყოფი და ზედ სოფლის წინ დებული ჩინოვნიკებმა 15 კომლს აისორს მისცეს. მოშორებით მინდვრებსაც ასე უყვეს: რუს მალაკნებს დაურიგეს და, დღეს რომ გარეჯელ გლეხს ხვნა უნდოდეს, 20 და 15 ვერსზე უნდა წავიდეს და იქა ხნას. მახლობელი მინდვრები სხვას ჩაუცვივდათ ხელში. შორეულებშიაც, თივას გასთიბავენ თუ არა, მახლობელი მალაკანი ან რუსი ჰპარავს. ეს კარგა შეიგნო ხალხმა, მაგრამ გაფუჭებულის გამოკეთებაა! მაკედონსკის რომ ლობე და ალაყაფის კარები დაუნგრიეს, ამ ნიადაგზეა აღმოცენებული...

ბანი ლეჩხუმიდან.

აუტანელ ცხოვრების მწარე ბრჭყალი მოხვდა უკვე ხალხის დაზიანებულს გულის სიღრმეს და გონება მიხდილი, მძინარე-მისუსტებული გრძნობა აამუშავა, ყუათზე მიიყვანა, თვალი გამოაჭყეტია და დაანახვა თვისი დამახინჯებული სახე.

განწირულ ცხოვრებას ხალხი კრულვას უძღვნის და აწინდელს-კი უცხადებს საშინელს ბრძოლას...

მარტის თვე, 1905 წლისა, ლეჩხუმელთ ისტორიაში აღსანიშნავია. ძილად მიცემული ყოველი კუთხე ლეჩხუმისა იღვიძებს, თამამად აცხადებს სამართლიანს პროტესტს. ეს ერთი კვირაა, რაც ლეჩხუმის ყოველს მხარეში დაიწყო ხალხმა გაფიცვა და ყოველ კუთხიდან გაისმის ან სიკვდილი, ანუ მოპოვება ადამიანურ ცხოვრებისაო. დაიწვა სოფლის რამოდენიმე კანცელარია და სკოლა, რომელიც ორბელის კანცელარიასთან ახლო იყო. გაფიცვა პირველად მოხდა ორბელის საზოგადოებაში და შემდეგ ცეცხლივით მოედვა მთელს ლეჩხუმს. მოსპეს მღვდლების დრამა და უზომო გადასახადები, განდევნეს ფოსტის ცხენები, იასაულები და მოსპეს ამის გადასახადი, რომელიც თითოეულ საზოგადოებას წელიწადში არა ნაკლებ 600 მან. უჯდებოდა. მოსპეს საგლეხო ბანკში ფულის შეტანა, რადგან არავითარი სარგებლობა ამ ბანკს საზოგადოებისათვის არ მიუცია და არც იციან, ეს ბანკი რომელ ქალაქში არსებობს, ან ვინ მეთაურობს, ვინ სარგებლობს. თავად-აზნაურთ მოსთხოვეს სასოფლო გზა-ხიდის კეთებაში და ეკკლესიების მოვლა-ყარაულობაში მონაწილეობის მიღება და ბევრი რამ სხვა...

ზოგიერთი ჩვენებური „პაპათ-მთავარნი“ ძლიერ აალელვა ხალხის ასეთმა გამოღვიძებამ, სხვადასხვა ჰანგებზე „კნავიან“ და თანაც გაიძახიან, როგორ მოხდა ასეთი დანაშაულობა მშვიდობიან ლეჩხუმში, სჩანს „ეშმაკები“ ჩვენშიაც ყოფილან. ჰოი, ჰოი რა ამბავია:—არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო, დასძენენ...

დიაღ, ვერ ჯდებოდა მაღალ ხეზე, წუმპე იყო მისი სამყოფელი, მაგრამ გონს მოვიდა, ფრთები აისხა და დაიწყო ფრენა.. ნუ თუ საწყენია?!. უკაცრავად...

ლ. დადეშქელიანი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

20 მარტი.

ტანჟერი, 19 მარტი. იმპერატორთან დიდით მცირე საუბრის შემდეგ სულთანის ბიძა აქედან წავიდა. ამბობენ, ვითომც იმპერატორს ეთქვას, თავისის საკუთარი ინიციატივით გერმანიას ჰსურს სულთნის მფარველობის ქვეშ მყოფს, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელს, მაროკოს აყვავებასა და განვითარებას ხელი შეუწყოსო.

მადრიდი, 19 მარტი. ხელმწიფის მიერ ტანჟერის დათვალიერებამ დიპლომატიურ წრეებში აღელვება გამოიწვია. გაზეთი „ნაციონალი“ სწერს, გერმანია უყურადღებოდ სტოვებს საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას და ისე მოქმედობს, თითქო ასეთი შეთანხმება არც კი არსებობდესო.

გიბრალტარი, 19 მარტი. მცხოვრებნი გახარებულნი არიან. ინგლისის დედოფალი ვილჰელმის მოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე წავიდა. დედოფალი ასევე მოიქცა ვიგასა და ლისსაბონში

ტრიესტი, 19 მარტი. აღმოჩნდა, რომ «ავსტრიულ ლლოიდა»-ს საპენსიო ფონდიდან ერთ მილიონ მანათის მეოთხედამდე გაუფლანგავთ.

სარატოვი, 20 მარტი. შინაურ სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერა ორ მილიონ მანათამდე ავიდა.

კოვნა. ახალ სესხზე ხელის მოწერამ სახელმწიფო ბანკის კოვნის განყოფილებაში 150 ათასს მანათს გადაამეტა.

ლონდონი, 19 მარტი. გერმანიის იმპერატორი გიბრალტარში მოვიდა. დახვდა გუბერნატორი შტაბით, რომლებიც გემ „ჰამბურგი“-თ მოვიდნენ. იმპერატორი გადმოვიდა ნაპირზე, ინახულა გუბერნატორი და დღეს დილით ისევ გემზე დაბრუნდა. ინგლისური მარშლის ფორმაში გამოწყობილმა იმპერატორმა დაათვალიერა კრეისერი „დრეკი“, სამხედრო გოსპიტალი და სხვ. შემდეგ გემ «ჰამბურგზე» გაიმართა მცირედი ნადიმი. ნადიმზე მიწვეული იყვნენ გუბერნატორი—სახლობით და შტაბი. ციხე არ უნახავს. მცხოვრებლებმა გულ-გრილად მიიღეს. დღეს შუადღის შემდეგ გემ «ჰამბურგით» იმპერატორი პორტ-მაგონში გაემგზავრება, სადაც დაუხვდება დედოფალი ალექსანდრა.

ხარბინი, 20 მარტი. იმათთვის, ვინც ხარბინიდან რუსეთს ბრუნდებიან, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამგეობას ხარბინიდან ირკუტსკამდე მატარებლის პირდაპირი მიმოსვლა დაუნიშნავს. მგზავრებს მეოთხე კლასის ბილეთით წაიყვანენ.

ბრესტი, 20 მარტი. ივლისის შუა რიცხვებში აქ მოვა ინგლისის ესკადრა და რამდენსამე დღეს დარჩება. საფრანგეთის ესკადრა კი ინახულებს მას ავგისტოს მეორე ნახევარში პორტ-სმუტში, სადაც მეფე ედუარდი ესკადრას დაათვალიერებს. პრეზიდენტი ლუბე მოვა ბრესტში ინგლისის ესკადრის სანახავად.

პარიჟი, 20 მარტი. გაზეთ «რაპპელ»-ში გამოქვეყნებულია შანხაიდან მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ჩინეთს ამერიკისთვის 20 საესკადრო ჯავშნიანი გემი, 20 კრეისერი და 120 ნაღმიანი გემი შეუკვეთია. ხარჯს მამულიშვილები იკისრებენ და თავიანთ შორის ხელის მოწერას გამართავენო.

თავრიზი, 16 მარტი. გარდაიცვალა სპარსეთის უმთავრესი სასულიერო პირი მუშტეიდ-მირზა-ჰასანადა-მამახანი, რომელიც მუდამ ქალაქ კერბალაში ცხოვრობდა.

სიმფეროპოლი, 20 მარტი. სენატორს ტაინი სოვეტნიკ ტრეპოვს უმაღლესად დაევალა სიმფეროპოლის გუბერნიის მართვა გამგეობა.

მინსკი, 20 მარტი. ამ დღეებში ერთ-ერთ გაზეთში მინსკიდან კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი, რომელიც თექვსმეტიდან ოცდა-სამ მომხდარ ფაქტს ამახინჯებდა. დაიწყო თუ არა სემინარიაში არეულობა, მაშინვე გამოწვეულ აქმნა პოლიცია და ჯარი, რის გამო მშვიდობიანობა საათ-ნახევარში იქმნა აღდგენილი. შემდეგ, 18 და 19 თებერვალს, ქალაქში მთავრობის საწინააღმდეგო არავითარი მანიფესტაციები არ მომხდარა.

ხარკოვი, 20 მარტი. ახალ შინაგან სესხს აქ ხელი მოაწერა ოთხმა სააქციონერო ბანკმა. ხელის მოწერიდან დაახლოვებით მილიონ-ნახევარი მანათი შეგროვდა.

ბერლინი, 20 მარტი. „ნორდეიტშე ალგემეინე“ საკვირაო პოლიტიკურ მიმოხილვაში ამბობს: გერმანიასა და საფრანგეთს შუაში მაროკოს მთავრობასთან თავიანთი ინტერესების შესახებ მოლაპარაკება გაუმართნიათ. მაროკოს ისე უცქერიან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. გერმანიას უნდა მხოლოდ თავის ინტერესები დაიცვას და აზრადაც არა აქვს ხელი შეახოს მაროკოს დამოუკიდებლობას, ამიტომ მოლაპარაკება გამართა მაროკოს სულთანთანაო.

ვენა, 20 მარტი. (კორ. ბიურო). ბელგრადიდან გაზეთებს ატყობინებენ: როდესაც ერთ მახლობელ კუნძულზე წასვლას აპირებდა, მემკვიდრე პრინცმა გიორგიმ ვიღაცა ახალგაზდა მაკედონელი ტყვიით თავში მძიმედ დასჭრა. სხვა ცნობებით უფრო დიდი უბედურება მომხდარა. დაწვრილებითი ცნობები არ არის.

სარატოვი, 20 მარტი. საგუბერნიო საერობო კრება შუამდგომლობს საერობო სახალხო გაზეთის გამოცემასა და სამხედრო სამსახურიდან გამგეობის თავმჯდომარეთა განთავისუფლების შესახებ.

ტვერი, 20 მარტი. ნოქართა საზოგადოება შუამდგომლობს: რაც შეიძლება ჩქარა მოწეს-რიგდეს ვაჭრობისა და სამუშაო დღის საქმე; მოეწყოს აგრედვე მუშათა სახელმწიფო დამზღვევი საზოგადოების ორგანიზაცია. საგანგებო კომისია იკვლევს პროფესიონალურ საჭიროებათ.

სიზრანი, 20 მარტი. აღსანიშნავად ხელმწიფის მოწოდებისა, რომლითაც ხალხის წარმომადგენელნი მონაწილეობას მიიღებენ კანონმდებლობაში, აქაურმა ხორბლით მოვაჭრეებმა დაადგინეს, რუსეთისათვის მებრძოლ ჯარს პური გაუგზავნონ.—17 მარტს ქალაქის საბჭომ დაადგინა: უქმე დღეებში, ცხრა თვის განმავლობაში—ვაჭრობა სწარმოებდეს ერთი საათით; სამი თვის განმავლობაში—ორი საათით; ზამთრობით სამუშაო დღეებში—თერთმეტი საათით; ხოლო ზაფხულობით—თორმეტი საათით.

პეტერბურგი, 30 მარტი. „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია ნარვის ეპისკოპოზის ანტონინის წერილი, რომელიც შემდეგის სიტყვებით თავდება: „უწმიდესი სინოდი სთხოვს ხელმწიფეს, ნება უბოძოს ეკლესიას აღიმაღლოს ხმა თვისი დიდის მლოცველის და ტანჯულის სამშობლოს მავედრებელის—სრულიად რუსეთის პატრიარქის ამორჩევის შესახებ“.

ბერლინი, 20 მარტი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ სწერს: არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ გერმანიის მაროკოს შესახები კითხვის შარშანდელი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება წრევანდელს. მაშინ მთელი ქვეყანა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაზე სწერდა, ჩვენ ვსდუმდით. დღეს-კი ხმა-მაღლა ვაცხადებთ ჩვენს ეჭვებს. ნუ თუ რუსეთის მარცხებმა აგვიხსნეს ენა და ცოტაოდენი ღონე მოგვცა.

პეტერბურგი, 20 მარტი. ამ დღეებში აქ დააპატიმრეს მთელი ჯგუფი რუსეთის მებრძოლ ორგანიზაციისა—რევოლიუციონერი და ანარქისტი—რიცხვით თორმეტი. აღნიშნული ორგანიზაცია აღმოჩენილა სამი ანარქისტის წყალობით: ორი მათგანი მეეტლეთა ტანისამოსში იყო გამოწყობილი, ერთი მოსამსახურისაში და თურმე სხვადასხვა თანამდებობის პირთ თვალ-ყურს ადევნებდნენ. 17 მარტს სუყველანი ისე მოულოდნელად დააპატიმრეს, რომ მხოლოდ ერთმა მათგანმა მოახერხა წინააღმდეგობის გაწევა რევოლვერის გასროლით, მაგრამ ამანაც ვერავინ დასჭრა. ჯერ-ჯერობით გამოირკვა მხოლოდ ოთხი დაპატიმრებულის გვარი; ესენი არიან ორი ქალი: ივანოვსკაის, ლეონტიევისა და ორი კაცი: საზნიკოვი და ბარიკოვი. ლეონტიევის ქალს ასაფეთქებელი ნივთიერების გარდა აღმოაჩნდა აუარებელი სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიდანაც ნათლადა სჩანს ანარქისტების ფარული მოქმედების სურათი. გამოირკვა, რომ ანარქისტების მოქმედება რუსეთის სახელმწიფოში უფრო შვეიცარიიდან მომდინარეობს.

გაზეთების ცნობები იმას შესახებ, რომ მოსკოვში უნდა საგანგებო საკრებულო გაემგზავროს დიდი მთავრის სერგეი ალექსანდრის ძის მკვლელის საქმის გასარჩევად, სწორე არ არის. მართალია, მკვლელი გასამართლებულ იქნება ამ საკრებულოს მიერ, მაგრამ ჯერ სასამართლოსათვის არ გადაუციათ, რადგანაც გამოძიება არ გათავებულა.

იზლა, 20 მარტი. დღეს დიდის ამბით გაიხსნა სუმპლინის გვირაბი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. ბრძოლის ველზე საკვირველი სიჩუმე ჩამოვარდა. საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთობა კითხულობს, შეგვატყობინეთ, მართალია, ვითომ 200 ათას კაცზე მეტი მოგვიკლეს, დაგვიჭრეს, 100 ათასი ტყვედ წაიყვანეს და 700 ზარბაზანი წაგვართვეს? მაგრამ ბრძოლის ველიდან პასუხს არ იძლევიან და განუწყვეტლივ უკან-უკან იწევენ (ნ.).

„რუს. სლ.“-ს გუნჟულინიდან დეპეშით ატყობინებენ: მას შემდეგ, რაც გენ. ლინევიჩი მანჯურის მთავარსარდლად დანიშნეს, ცენზურამ ხელი უფრო მოგვიჭირა და ჩვენს დეპეშასა და კორესპონდენციებს წითელ მელნით აჭრელებსო (რ. ვ.).

ტოკიოდან დეპეშით იუწყებიან, იაპონელები ამ დღეებში გირინს აიღებენო. მანჯურიაშიაც ხმა გავრცელდა, იაპონელები გირინის აღებას მარტის 28 აპირობენო (ნ. დ.).

„ტაიმს“-ს გუნჟულინიდან დეპეშით ატყობინებენ: რუსებიცა და იაპონელებიც გაფაციცებით ემზადებიან საბოლოო ბრძოლისთვის. საავადმყოფოები ციმბირისკენ გაჰგზავნეს; ციციკარის აღმოსავლეთით და დასავლეთით რკინის გზაზე გაცხარებული მუშაობაა. ხარბინიდან ქალები და ბავშვები სულ გაიხვეწნენ. ვაჭრები მაღაზიებსა და დუქნებს ჰკეტავენ, საქონელს საჩქაროდ ჰყიდიან და მიდიან. მთავარი შტაბი დარწმუნებულია, რომ გენერალი კუროკი (თუ ნოგი) აღმოსავლეთისკენ გადაუხვევს და ვლადივოსტოკს ალყას შემოარტყამსო. იმასაც ამბობენ, ვითომ კუროკიმ თავისი ბაზა გენზანში (კორეიაში) გადაიტანა და ზღვით გალაშქრებას იქიდან აპირობსო. როგორც სჩანს, იაპონელები ისევ საზღვაო ბაზას რჩეობენ (ს.).

იქიდანვე „რუს“-ს ატყობინებენ: ამას წინად რკინის გზის დაყოლებაზე სამხრეთისკენ ყაზახთა მზვერავი რაზმები გავგზავნეთ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, 50 ვერსის მანძილზე ვერავინ ნახეს. ამ ამბავმა ყველა დააფიქრა, ვაი თუ იაპონელები ისევ რაღაც მახეს გვიგებენო (რ. ვ.).

ტყვე გენერლები. მუკდენის ბრძოლის დროს, სხვა გენერალთა შორის, იაპონელებმა დაატყვევეს მე-3 ბრიგადის უფროსი გენერალი სოლოგუბი. არც მესამე არმიის უფროსი გენერალი ბილდერლინგი სჩანს სადმე (რ. ს.).

ზავი. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: რუსეთის სხვადასხვა წარჩინებულ მოხელეთაგან გავიგე, რომ სახელმწიფო საბჭოში ფარულ კენჭის ყრით უმრავლესობამ დაადგინა, რაც შეიძლება, მალე უნდა შევურიგდეთ იაპონელებსო (რ. ვ.).

ინგლისურ სხვადასხვა გაზეთების კორესპონდენტები პეტერბურგიდან იუწყებიან: ცხადია, რომ რუსეთი ომის განსაგრძობად მხოლოდ ფორმალურად ემზადება, ნამდვილიდან კი სჩანს, რომ ზავის ჩამოგდებას აპირობს. რუსეთის მთავრობამ რამდენსამე ქარხანას და სავაჭრო დაწესებულებას სამხედრო მასალის შეკვეთაზე უარი უთხრა. სამხედრო და საზღვაო უწყებებმა უარი უთხრეს რამდენსამე ფირმას, რომელნიც იაფად აძლევდნენ რუსეთს სამხედრო საქონელს. მეორე კორესპონდენტები კი, პირიქით, ამტკიცებენ, რუსეთი კვლავაც იომებსო. რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, რეფორმებს შემოვიღებო, ნამდვილად-კი აღნიშნული რეფორმები მხოლოდ სიტყვები და დაპირებაა. ამ დაპირებით რუსეთს უნდოდა ევროპის ნდობა მოეპოვებინა და სესხი ეშოვნაო (ნ. ვ.).

«დეილი ტელეგრაფ»-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდების მომხრეთ გამარჯვება უახლოვდებათ. ზავის უკიდურესმა მოწინააღმდეგებმა ეხლა საბოლოოდ აღიარეს, რომ ომის გაგრძელება რუსეთისათვის ფინანსიურისა, ეკონომიურისა და პოლიტიკურის მხრით უბედურება და დაღუპვა იქნებოდა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ეხლავე ომის მოსპობა. მუკდენთან რუსეთის ჯარის განადგურების შემდეგ მშვიდობიანობის მომხრე პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ნდობა და გავლენა დაუკარგოს მეორე—მომხრე პარტიას, რომელიც აქამდის რუსეთის ბედის ბატონი იყო. ზავის მომხრე პარტიამ თითქმის საბოლოოდ გაიმარჯვა. სამხედრო მინისტრის გენ. სახაროვის ადგილიდან გადადგომასაც ზავის მომხრე პარტიის გამარჯვებას აწერენ.

„რუსი“-ს კორესპონდენტი გარდენინი ბერლინიდან იუწყება: აქაური დიპლომატები სულ ზავის ჩამოგდების შესახებ ლაპარაკობენ. ამბობენ, ინგლისის მეფემ ედუარდმა დანიის მეფე სწორედ ამის თაობაზე ინახულაო. ერთმა ელჩმა მითხრა, ზავის ჩამოგდების შესახებ შორიდან ლაპარაკი აღიძრაო (რ.).

საზღვაო ბრძოლა. ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის შესახებ არეულ-დარეული ცნობა მოდის. ზოგი ამბობს, როჟესტვენსკის ესკადრა ჯიბუტისაკენ—უკანვე წამოვიდაო. ზოგს კი ეს ესკადრა ზონდის სრუტესთან უნახავს. ეხლა ლონდონში ცნობა მოვიდა, ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა აღმოსავლეთისკენ—ზონდის სრუტისკენ წავიდაო. ლონდონსა და პარიზში ერთსა და იმავე დროს ამბავი მოვიდა, სინგაპურიდან წამოსულმა იაპონელთა ნაღმოსნებმა ღამე იერიში მიიტანეს როჟესტვენსკის ესკადრაზე და ორი ჯავშნოსანი „სისოი ველიკი“ და „ნავარინ“-ი დაღუპესო. (რ. ვ.).

ებრაელ სალდათების ჯილდო. მოსკოვიდან „ბერლ. ტაგებ.“-ს სწერენ: ბრძოლის ველიდან მომავალმა ყველა დაჭრილმა და ავადმყოფმა მოსკოვზე უნდა გამოიაროს. დაჭრილთა უმეტესობა აქვე, საავადმყოფოებში რჩება. დაჭრილ ებრაელებს ექიმები და საავადმყოფოს მსახურნი სათნოებითა და გულკეთილად ექცევიან; ქალაქის ადმინისტრაცია და პოლიცია კი, პირიქით, სასტიკად და შეუბრალებლად ექცევა. საქმე იმაშია, რომ ებრაელებს მოსკოვში არა თუ ცხოვრება, ერთი საათით შესვლაც კი აკრძალული აქვთ. დაჭრილ ებრაელების მშობლები დაჭრილთა სანახავად ყოველ დღე ასობით მიდიან, მაგრამ ადმინისტრაცია ავადმყოფთან ახლოაც არ უშვებს და ქალაქიდან რეკავს. დაჭრილ ებრაელებსაც ასრე ექცევიან: მორჩება თუ არა, საავადმყოფოდან პირდაპირ სადგურზე მიჰყავთ და ქალაქიდან გზავნიან. ავადმყოფი ჯერ სუსტია, ფეხზე ძლივსა სდგას, დასვენება და მოვლა უნდა, მაგრამ ამას არ დაგიდევენ. ამიტომაც რომ ერთხელ მორჩენილი ავადმყოფი გზაში ხელმეორედ ხდება ავად და ხშირად გზაშივე ესალმება წუთისოფელს (ნ.).

პორტ-არტურის წარსულიდან „სინ ოტეჩესტვა“-ს კორესპონდენტი იუწყება: პორტ-არტურელ აფიცრებს ვესაუბრე. იაპონიის ნაღმოსანთა პირველი იერიში,—ამბობდნენ აფიცრები,—ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო. 26 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, სამხედრო კრებამ დაადგინა, ფლოტს ფოლადის ბადე დავუგოთ წინ, რათა იაპონელებმა ნაღმები არ ესროლონო. ეს დადგენილება ადმირალს ალექსეევს გავუგზავნეთ დასამტკიცებლად, მაგრამ ადმირალმა არ დაამტკიცა და გვიპასუხა, ეგ უდროო და მოუსაზრებელი დადგენილებააო. იმავე დღეს ღამით იაპონელებმა სამი ჯავშნოსანი დაგვიზიანეს. ეს ერთი ამბავი. ეხლა მეორე: პორტ-არტურიდან პეტერბურგში დეპეშით სთხოვეს, ყუმბარები ცოტა გვაქვს და გამოგვიგზავნეთო. პეტერბურგიდან უპასუხეს, ეგეც გეყოფათ, მეტი არ გინდათო. პორტ-არტურელებმა მეორედ ითხოვეს ყუმბარები, მაგრამ მეორედაც უარი მიიღეს. ამის შემდეგ ყუმბარები გენ. კუროპატკინმა გაჰგზავნა ლიაონიდან (ს. ო.).

სხვადასხვა ამბები. ამას წინად ინგლისში წყალში ჩაუშვიათ იაპონიის ორი ახალი უშველებელი ჯავშნოსანი. იაპონიის ელჩს, ბარონ გაიაშის უთქვამს ერთ კორესპონდენტისთვის: სანამ იაპონია ომშია ჩაბმული, ეს გემები აქ იქნებიან: მერე კი, როცა ომი გათავდება, იაპონიაში წავლენ და მშვიდობიანობას დარაჯად დაუდგებიანო (რ.).

ხარბინის აშენებას რუსეთმა 20 მილიონი მანათი მოანდომა (რ.).

თუმცა გენ. კუროპატკინი ეხლა მთავარსარდალი არ არის, მაგრამ ისევ სარდლის ჯამაგირს იღებს. გენ. კუროპატკინს გარდა საჭმელ-სასმელისა და ათასგვარ ხარჯისა წელიწადში 144 ათასი მანეთი ეძლევა (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 21 მარტი **დღეს, შუადღის 12 საათზე, შვიდი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა არქიელის გორაზე სასულიერო სასწავლებლის ხაზინადარს კობახიძეს, რომელსაც 1869 მანათი წაართვეს და თოფის სროლით ლეჩხუმის გზაზე გაიქცნენ. ყაზახები დაედევნენ.**

ახალი ამბავი

ტფილისის **სტამბების მუშებმა**—ასოთ-ამწყობებმა და მბეჭდავებმა—წარუდგინეს სტამბის პატრონთა და **დროგამოშვებით გამოცემათა რედაქტორ-გამომცემლებს შემდეგი მოხოვნილებანი**: 1) 8 საათის სამუშაო დღე-ღამეში; 2) შაბათობითა და უქმეების წინა დღეებში 6 საათის მუშაობა; 3) ზედმეტ სამუშაოთა მოსპობა; 4) კვირაობითა და უქმე დღეებში სრულიად მოსპობა ჟურნალ-გაზეთებისა და დეპეშების აწყობა-დაბეჭდვისა; 5) ავადმყოფობის დროს მიეცეთ სრული ხელფასი ორის თვის განმავლობაში; 6) უფასო საექიმო დახმარება და უფასო წამლობა როგორც მუშისა, ისე მის ოჯახობისაც; 7) სტამბები ისე მოეწყოს და მოწესრიგდეს, როგორც ჰიგიენა მოითხოვს; 8) სტამბის შეგირდებს მიღებისათანავე პირველ სამის თვის განმავლობაში ეძლეოდეთ სამ-სამი მანათი თვეში, სამი თვის შემდეგ რამდენსამე ხანს 6 მანათი, ხოლო ამას იქით—მორიგებისამებრ; 9) სტამბის პატრონები, სტამბის გამგენი და უფროსი ასოთ-ამწყობნი უსათუოდ ზრდილობიანად უნდა მოექცნენ როგორც ასოთ-ამწყობ-მბეჭდავს, ისე

ფელეტონი

ახალი ცხოვრება და ქართველი ერი.

(ხმა ევროპიდან)

III

ქართველი ერის ეკონომიურად გაღონიერება აუცილებელი პირობაა ქართველთა კულტურულ წარმატებისათვის. ქართველებში ვაჭრობა-მრეწველობისა და საზოგადოდ თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება არის ჩვენთვის კითხვა ეროვნული და, ვითარცა ასეთი, მთელი ქართველობისათვის დიდ მნიშვნელოვანია.

თანამედროვე საეკონომიო მეცნიერებაში აუცილებელ ჭეშმარიტებადაა აღიარებული ის აზრი, რომ ეგრედ წოდებული კაპიტალისტური წესი წარმოებისა საერთოდ, როგორც ტეხნიკურის, ისე სოციალურის მხრივ დიდ პროგრესსა და წინსვლას წარმოადგენს. კარგად ცნობილია, თუ რა დიდი რევოლიუცია მოახდინა ტეხნიკაში მეურნეობის ახალმა ხანამ, რომლის მიზეზითაც თანამედროვე საზოგადოებას სულ სხვა ფორმა მიეცა. ყველასათვის ეჭვს გარეშეა, რომ ტეხნიკის გაუმჯობესობაზე არც ერთი წინად არსებულ საეკონომიო ეპოქას არ ჰქონია ისეთი დიადი გავლენა, როგორც კაპიტალიზმს, რომელმაც პირველად შექმნა ფართო ინტენსიური მეურნეობა. ამ მხრივ ორი აზრი არსებობს, რადგან ძლიერ თვალსაჩინოა ის ტეხნიკური რევოლიუცია, რომელიც ახალმა დრომ მოახდინა. კაპიტალიზმის სოციალ-პოლიტიკური შედეგები დაახლოვებით შემდეგია: თანამედროვე უფლებრივი სახელმწიფოს დაფუძნება, სწავლა-განათლების გავრცელება (ყველა საზოგადოებრივ ჯგუფებში), საზოგადოების დიფერენციაცია და მისგან დამოკიდებული შრომის უკიდურესი სპეციალიზაცია და განაყოფიერება, ეროვნული სიმდიდრის საკვირველად გადიდება, ღარიბ კლასთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობა, პირადი ინიციატივის გამტკიცება, ეროვნული კულტურის აყვავება, ერთა დაკავშირება და სხვ. მთელი თანამედროვე კულტურა და ზოგადოდ ის, რაც ჩვენი დროის სიამაყეს შეადგენს, არის ნაყოფი კაპიტალისტური ევოლიუციისა ანუ მოქალაქეობრივი წეს-წყობილების დამკვიდრებისა. ამიტომაც კაპიტალიზმის განვითარება ჩვენი ქვეყნისთვისაც აუცილებელი და სასურველია.

ჩვენ გვეუბნებიან: სავსებით გეთანხმებით ახალი მეურნეობის პროგრესიული მისსიის შესახებ, მაგრამ დამშვიდდით, კაპიტალიზმი ვითარდება კიდეც თავისთავად,—იმედი იქონიეთ ბუნებრივი განვითარებისა და სხვ. ამგვარი პასუხი ხშირად გვსმენია და, იმედია, შემდეგშიაც გავიგონებთ. სწორედ ამ მუხლშია ის მთავარი გაუგებრობა, რომლის გამორკვევა აუცილებლად მიგვაჩნია. როგორც გერმანელები ამბობენ, da ist der Hund begraben. ჩვენც ვიცით, რომ კაპიტალისტური მეურნეობა საქართველოში, ასე თუ ისე, ვითარდება და, რაც დრო მიდის, თანდათან უფრო და უფრო ფეხს იკიდებს და ნიადაგს იფართოებს. ის იმორჩილებს მთელ ქვეყნიერობას და ჩვენც ველარ ავცდებით მის ძალა-გავლენას. ამ მხრივ ჩვენი «აპოლოგია» მისთვის საჭირო არ არის. ჩვენ ისიც კი ვიცით, რომ ვაჭრობა-მრეწველობას ჩვენში დიდი მომავალი აქვს. კავკასია და კერძოდ საქართველო სავსეა სხვადასხვა გვარი ბუნებრივი სიმდიდრით. აქამდის ჩვენი მხარე არ იყო საკმარისად გამოკვლეული და ამიტომ ჩვენი ქვეყნის აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე მოუხმარებლად იდო მიწაში. მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება,—გაჩნდებიან მეცნიერნი სპეციალისტნი, კავკასიას გამოიკვლევენ და სურათიც თანდათან შეიცვლება. ყველა ეს ჩვენ არ გვავიწყდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შიშით შევყურებთ ჩვენი ქვეყნის მომავალს. და, აი, რატომ:

კაპიტალიზმის განვითარება იმ შემთხვევაში მოასწავებს ეროვნულ კულტურის აღორძინებას, თუ ერს საკუთარი კაპიტალი აქვს, თუ ვაჭრობა-მრეწველობა ამ ერის ხელში არის. შეიძლება, რომელსამე ქვეყანაში ვაჭრობა-მრეწველობა საკმაოდ იყოს განვითარებული, მაგრამ კაპიტალს არა მკვიდრთა წარმომადგენელნი ატრიალებდნენ და ამ მხრით ხალხის მიერ შექმნილი სიმდიდრე სხვის ხელში გადადიოდეს. ამ შემთხვევაში კაპიტალიზმს არა აქვს ის დიდი მნიშვნელობა ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის, რომელიც უნდა ჰქონდეს ნორმალურს პირობებში, თუმცა ძველ პატრიარქალურ განწყობილებას მაინც სცვლის, კარჩაკეტილ ცხოვრებას არღვევს და თანამედროვე ცოცხალ სახეს აძლევს. მთავარი კითხვა კი ეს არის,—ვინ ატრიალებს საწარმოვო კაპიტალს, თუ ვის რჩება საბოლოოდ სიმდიდრე. ერი ისევ უმთავრესად „ლაქიებისაგან“ შესდგება (როგორც ამას ჩვენ შესახებ ამბობენ), ასეთი ერი ვერ შექმნის ახალ კულტურას, რადგანაც მოსვენებული შრომა, მაღალ საგნებზე ფიქრი და მუდამ ლუკმა-პურის შოვნაზე ზრუნვა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ვაჭრობა-მრეწველობა ეროვნებისთვის არა თუ უმნიშვნელოა, არამედ მავნებელიც არის, რადგან თანდათან ვრცელდება იმ ერის გავლენა, რომლის წარმომადგენელთა ხელშიაც სიმდიდრე იკრიბება. ეკონომიურად დაჩაგრული და დამონებული ერი თავის ფიზიონომიას ადვილად ჰკარგავს. ამით აიხსნება, რომ ყოველი ერი, რომელსაც წინსვლა და არსებობა სწადია, მოწადინებულია ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობა განავითაროს და მით სიმდიდრე შეიძინოს. თითოეულ ერის სიმდიდრეს მუშა ხალხი ჰქმნის, ხოლო მიწა,—ტერიტორია მრეწველობის განვითარების შეძლებას იძლევა. მოდის უცხო კაპიტალისტი და სხვა ერის-მიერ შექმნილ სიმდიდრეს ეპატრონება. ამგვარად კაპიტალი უცხოეთში გადადის და ერისათვის თითქმის უმნიშვნელოდ იკარგება.

რადგან კულტურული პროგრესი ამგვარ პირობებში შეუძლებელია, ამიტომაც თანამედროვე სახელმწიფოს საეკონომიო პოლიტიკის მთავარ საგანს შეადგენს საკუთარ ვაჭრობა-მრეწველობისთვის ზრუნვა. ის იცავს ეროვნულ მეურნეობას უცხოეთის კონკურენციისაგან უცხოეთიდან საქონლის შემოტანის აკრძალვით, უცხოეთში გატანისთვის პრემიის დანიშვნით, სახელმწიფო კრედიტის აღმოჩენით, ბაჟის შემოღებითა და სხვ. ამ პოლიტიკის განსახორციელებლად თანამედროვე სახელმწიფო ხმარობს მთელ თავის ძალას, ე. ი. უწევს მფარველობას მანამდის, სანამ სამშობლო მრეწველობისთვის უცხოთა კონკურენცია აუტანელი არის. თანამედროვე მეურნეობის განვითარება აღნიშნული გზით სწარმოებდა. საეკონომიო პოლიტიკის პირველი პრაქტიკული სისტემა—მერკანტილიზმი (ანუ კობლბერიზმი)—აუცილებელი იყო ნორჩი ნაციონალური მეურნეობის აღორძინებლად (მისი მთავარი პრინციპი—სახელმწიფოს დახმარებით ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობის დაცვა და გაღონიერება და იმით გარეშე კონკურენციის შეზღუდვა—ეხლაც ბევრ მიმხრეებს პოულობს ევროპაში) და ასე, თუ ყოველ დაწინაურებულ ქვეყანაში საჭიროდ მიაჩნიათ მფარველობის გაწევა შინაურ ვაჭრობა-მრეწველობისთვის, ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ერისათვის და მისი კულტურული ზრდისათვის აუცილებელია **საკუთარი** ვაჭრობა-მრეწველობის წარმატება. ეს ის აუცილებელი ფაქტორია, ურომლისოდაც თანამედროვე ცხოვრება შეუძლებელია.

ამნაირად, მთავარი საგანი იმაში მდგომარეობს, რომ ვაჭრობა-მრეწველობას ნაციონალური ნიშანი ჰქონდეს, ე. ი. ის ქართველთა ხელში იყოს. თითეული-ჩვენგანი ამის მსურველი უნდა იყოს, რომ ის სიმდიდრე, რომელსაც უხვად იძლევა საქართველოს ბუნება, რომელსაც ჰქმნის ქართველი მწარმოებელი, ქართველებსვე დარჩეს და მით ქართველ ერის კულტურულ წარმატების საქმეს მოხმარდეს...

ლეო გეორგიელი.

აწინდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარების გავლენა სამეურნეო საზოგადოებაზე *)

(რუსულიდან თარგმნილი)

იმ მხარეში, სადაც მეურნეობა მცხოვრებთა უმრავლესობის უპირველესსა და უმთავრესს საცხოვრებელ წყაროდ გამხდარა, იმისთანა საზოგადოებრივ დაწესებულებას, როგორიც არის კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება, ყველაზე უწინ და ყველაზე მეტად უნდა გამოეჩინა თავისი ცხოველმყოფელი ძალა.

მაგრამ, მიუხედავად ყველა იმ ღონისძიებათა, რომელიც იხმარა ჩვენმა საზოგადოებამ, თავის მოქმედების გასაცხოველებლად, როგორც, მაგალითად,—საერთო კრებებზე ყველა საჭირო სამეურნეო ხასიათის საკითხების განსჯა-განხილვა; კითხვა მოხსენებათა, სამეცნიერო ლექციებისა, გამართვა სამეურნეო გამოფენებისა; სხვადასხვა სამეურნეო იარაღების საყოველთაო გაცნობა; სარაიონო და საერთო სხდომების გამართვა; განყოფილებების გახსნა უმთავრეს **კუთხეებში**; დაწესება სკოლებისა, **საცდელ მინდვრებისა**; ბეჭდვა სახელმძღვანელოებისა, დარიგებებისა, პერიოდული გამოცემებისა; აღძვრა შუამდგომლობათა, რომლებიდანაც ზოგი დაკმაყოფილდა და ზოგი არა,—დაარსება საზოგადოების ინიციატივით სხვადასხვა სამეურნეო ხასიათის დაწესებულებათა, ერთი სიტყვით, მიუხედავად ყოველნაირის ცდისა, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ცხოვრებაში მაინც ვერ დადგა ხანა მის მოქმედებას აღყვავებისა. პირიქით, 50 წლის მისს მოქმედებას ჰქონდა ხასიათი თანდათანობით დასუსტებისა და, რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო მტკიცდებოდა ის აზრი, რომ ჩვენი საზოგადოება მკვდრადაა დაბადებული.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ სამეურნეო საზოგადოების მიერ მოტანილი სარგებლობა,—თუ კი არის იგი,—არ შეეფერება არც მის ამოდენა ხნის მოქმედებას და არც საზოგადოებაში მომუშავე წევრების სურვილსა და იმედებს. მთელი უნაყოფობა

---

*) ამ „მოხსენებას“ ავტორი დღეს საღამოს წაიკითხავს სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შეგირდებსაც; 10) ჯამაგირები მუშაობის გათავებამდე, ე. ი. სამუშაო დროს განმავლობაში უნდა დარიგდეს; 11) ვინც პოლიტიკურ საქმეთა გამო დათხოვნილია, ყველანი უნდა მიღებულ იქმნენ და საზოგადოდ უარს არ უნდა ეუბნებოდნენ, როგორც ეს დღემდე იყო.

თავ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბაში გუშინდლიდან უკვე 8 საათის მუშაობა დაწესდა

✦ **გუშინ ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, დაიჭირეს იაპონელი „პორტ-არტურის პოლიცმეისტერი“.** დილის 11 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე კონკით მიდიოდა ერთი კაცი, გვარად ალექსანდრე მამედის ძე პაპახანოვი. კონკა სასახლის პირდაპირ რომ გაჩერდა, პაპახანოვმა ჩამოსვლა დააპირა. ამ დროს წამოვარდა ერთი მოსამზღვრე დარაჯთა რაზმის აფიცერი და სტაცა ხელი პაპახანოვს: შენ იაპონელი ხარ და უნდა დაგატყვეო! განცვიფრებულმა პაპახანოვმა უპასუხა: რის იაპონელი, მე აქაური ვარ, პატარაობიდანვე ტფილისში ვცხოვრობ. აფიცერი არ მოეშვა, მე შორეულ-აღმოსავლეთიდანა ვარ, კარგად გიცნობ, პორტ-არტურის ახლანდელი პოლიცმეისტერი ხარო. ამ სიტყვებით მოჰკიდა ხელი და პოლიციაში წაიყვანა. ვენიამინოვის ქუჩაზე ერთი პოლიციელი № 25 იდგა და აფიცერმა ამ პოლიცელთან მიიყვანა, ეს კაცი პორტ-არტურის პოლიცმეისტერია და უნდა დაიჭიროო. პოლიციელმა აქეთ-იქით დაიწყო ყურება და ეძებდა პორტ-არტურის პოლიცმეისტერს.—სად იყურები, აი ეს კაცი არისო! დაუყვირა აფიცერმა. თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ,—უპასუხა პოლიციელმა,—ეს პაპახანოვია, ამას ბავშობიდან ვიცნობო. ამას შემდეგ აფიცერი გატრიალდა და წავიდა. ბევრი ეკადა პაპახანოვი, იმ აფიცრის გვარი გაეგო, მაგრამ ვერას გახდა.

✦ 20 მარტს, საღამოს, სოფ. ავჭალის ახლოს, **შეიყარნენ ადგილობრივი გლეხ-კაცნი** და მოილაპარაკეს თავიანთ საჭიროებაზედ და უმთავრესად—მემამულეთაგან განწყობილებაზე გლეხები ისე დალაგებითა და გონივრულად მსჯელობდნენ, რომ წესიერება ოდნავადაც არ დარღვეულა. ერთმანეთს შეჰფიცეს ძმობა-ერთობა და მოღალატის დასჯა.

✦ **სოფელ გლდანიდან გვატყობინებენ,** რომ იქაც დაწყებულა გლეხების მოძრაობა. ტფილისის მაზრის უფროსს გლეხებთან მოსალაპარაკებლად თავისი თანაშემწე გაუგზავნია, მაგრამ გლეხებს სანდოდ არ უცვნიათ და თავისი საჭიროებანი არ მოუხსენებიათ. აქაური გლეხობაც უმამულობით არის შევიწროებული. ყველა მოსავლიანი მიწა ტფილისელ მოქალაქეთ ეკუთვნით და გლეხებს მამასისხლად აძლევენ იჯარით. იმდენად ავიწროვებენ თურმე გლეხებს, რომ მთელ სოფელში სულ ათი-თორმეტი ოჯახი არ მოიძებნება ისეთი, რომლებიც საკუთარის მოსავლით იკვებებოდეს. დანარჩენები იძულებულნი შეიქმნენ ხვნა-თესვისათვის თავი მიენებებინათ. თავისს ეზოებში მოჰყავთ ბოსტნეულობა, ჰყიდიან ტფილისში და იქ ყიდულობენ ფქვილს ან გამომცხვარ პურსა. ასეთის ტანჯვა-წვალებითა ცხოვრობს აქაური გლეხობაო.

✦ 13 მარტს, **სოფელ ახალგორში** (დუშეთის მაზრა) **შეყრილა გლეხკაცობა,** 1,500 კაცამდე, მისულა ეკკლესიის ახლო და ხმამაღლა დაუძახნია: გაუმარჯოს ერთობა-ძმობასაო. წინადღით ვიღასაც უცნობებია მაზრის უფროსისათვის, ხვალ სოფელში ყრილობა იქნებაო. ყრილობის დროს გამოჩნდა მაზრის უფროსი ახალ-ბაიაზეთის პოლკის სალდათებით; გლეხებმა მაზრის უფროსს შეუთვალეს,—ახლო არ მოგვეკაროთ ჯარითო და, თუ გინდა, ჩვენი მოთხოვნილებანი მოისმინოთო. მაზრის უფროსი დასთანხმდა, მაგრამ გლეხებმა განაცხადეს: ჩვენს გაჭირვებასა და მოთხოვნილებას 20 მარტს წარმოგიდგენთო; შემდეგ სოფლელებმა დაიბარეს სოფლის სამი მღვდელი, შემოსეს და მათ წინ შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა-ერთობა და მოღალატის სასტიკად დასჯა, ხოლო ამის შემდეგ წყნარად დაიშალნენ.

✦ **სურამიდან გვწერენ: თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის მახლობელ სოფელში სრული თანხმობაა.** თავად-აზნაურებმა გლეხებს ნება მისცეს ტყიდან საწვავი შეშა უფასოდ გამოიტანონ. იტრიის სკოლასთან ორმა სოფელმა—ჩუმათელეთმა და ურთხვამ ხიდი გააკეთა. მთელი სოფელი გამოვიდა სამუშაოდ. ხიდის გაკეთებას სურამელი რამდენიმე აზნაური დაესწრო და, რითაც შეეძლო, შველოდა. ამჟამად აქეთა სოფლები აკეთებენ იმ გზებს, რომელიც ყველასათვისაა საჭირო. თავად-აზნაურნიც ეხმარებიან.

✦ **წიფიდან გვწერენ:** ამას წინად ხმა დავარდა, ადგილობრივ გლეხებს ჩხუბი მოუვიდათო. ეს ხმა ტყუილია. ორ გლეხს, მართალია, მიწის თაობაზე უთანხმოება მოუვიდა, მაგრამ სოფელმა ისინი ძმურად შეათანხმა—სოფელს სასამართლოსთან და ადმინისტრაციასთან კავშირი გაწყვეტილი აქვს. ყველანი წინააღმდეგნი არიან გადაწვისა და მემამულეთა აკლებისა.

✦ ამჟამად ქართლში, **გლეხთა მოძრაობის გამო, ბევრი უსაფუძვლო და უსამართლო ჭორი ვრცელდება.** მაგალითად, ამას წინად ამბობდნენ, ქართლს ოსები შემოესიენ და სოფლებში თავად-აზნაურთა ქალებს შეურაცხყოფას აყენებენო. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ეს ხმები მტკნარი სიცრუეა.

✦ თავად-აზნაურთა კერძო კრების დავალებით, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა **წინამძღოლის მოადგილე თ-დი ა. ჯამბაკურ-ორბელიანი** და გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი იყვნენ გენ. მალამასთან და სთხოვეს, **სასტიკი ზომები მიიღე იმ პირების წინააღმდეგ,** რომლებიც სარგებლობენ ქართლში გლეხთა მოძრაობით და ცეცხლს უკიდებენ თავად-აზნაურთა ქონებასო. გენ. მალამამ უპასუხა, ზომები უკვე მივიღე, ორი როტა ჯარის კაცი გაგზავნილია და სამ როტასაც ამ დღეებში გავგზავნიო.

✦ სოფ. კოდისკენ, ერთს მემამულის გამგებს გლეხებში **ხმები გაუვრცელებია,** ამ კუთხეში მემამულეთა წინააღმდეგ გლეხებმა **ხმა არ ამოიღოთ, თორემ ბორჩალოს თათრებს მოგისევთ** და მთლად ამოგაჟლეტინებთ, აგყრით ჩვენის ადგილებიდამაო. სოფ. კოდის ახლო-მახლო სოფლებში ჯერ-ჯერობით საიმისო არის მხოლოდ მითქმა მოთქმა ორბელიანებისა და ბარათაშვილის მამულებზედ დასახლებულ გლეხთა შორის.

✦ ტფილისის გუბერნატორს მისვლია რამდენიმე **მღვდლისაგან საჩივარი გლეხებზე** და სთხოვენ დაგვეხმარეთ დრამის აკრებაშიო. ამის გამოისობით გუბერნატორი სთხოვს ეგზარხოსს—შემატყობინეთ, როდის დაწესდა ეს გადასახადები ღვდლის სასარგებლოდ, ან ერთი კოდია თუ ორი. ამაზე ეგზარხოსის კანცელარიამ აუწყა გუბერნატორს, რომ მღვდლების მოთხოვნილება **ერთი კოდი დრამის შესახებ უკანონოაო,** რადგანაც 1818 წ. გამოცემულ ცირკულიარში არაფერი არ არის ნათქვამი გადასახადების რაოდენობაზე. ცირკულიარი ამბობს **გლეხმა იმდენი უნდა გადაიხადოს, რამდენიც შეუძლიანო.**

✦ სოფლელების მღელვარებით **შეშინებულმა მღვდლებმაც ქალაქს მოაშურეს.** აქ უნდათ მალამო მოუძებნონ თავიანთ გაჭირვებას. სხვათა შორის, მათ ეგზარხოსისთვის უთხოვიათ, კრების გამართვის ნება მოგვეცითო.

✦ გუშინ ტფილისში **გაიფიცნენ** ქვისა, აგურისა, მიწის მზიდველნი და სხვა **მუშები.** ეს მუშები დღიურ სამუშაოს ფასის მომატებას თხოულობენ.

✦ ამას წინად **იარმუკის წვრილმა ვაჭრებმა** თავი მოიყარეს და **გადასწყვიტეს—ბრძოლა ბამოუცხადონ მუხრანსკის დუქნების მოიჯარადრეს(არენდატორს),** რომელსაც თურმე, კარგა ხანია დუქნების ქირა აუწევია და სხვადასხვა გადასახადები და ჯარიმები მოუხვევია მათთვის თავზე. ამიტომ წვრილმა მოვაჭრეებმა წარუდგინეს მოიჯარადრეებს თავიანთი მოთხოვნილებანი: 1) მომატებული ქირა მოისპოს; 2) ღამის ყარაულების (ჰასასი) ქირას, წყალის ფულსა და სხვა ამგვარებს მოიჯარადრე უნდა იხდიდეს, და არა ჩვენ; 3) გასასყიდ საქონელზე, რომელსაც მოედანზე მოიტანენ, თითო ნაჭერზე შაურის მეტი არ უნდა გადახდეს გამყიდველს, თუნდაც რომ ათი დღე გაჩერდეს საქონელი; 4) მოიჯარადრეს არა აქვს უფლება ვინმე ჩვენგანს დუქანი დააცალევინოს, თუ ქირას პირნათლად აძლევს. მოიჯირადრემ თუ მაინც იძალა, იმ შემთხვევაში ყველანი საერთოდ წინააღუდგებიან; 5) „კნიგაში“ უნდა იწერებოდეს არა მარტო თვის რიცხვი ქირის მიცემისა, არამედ ფულის რაოდენობაც.

✦ **ტფილისის ბევრმა მოქირავნემ ურთიერთს პირი მისცა,** გავიფიცნეთ რომ **სახლისა და სავაჭრო მამულის პატრონს ქირა შევამცირებინოთო.** როგორც ირწმუნებიან, ზოგიერთ მამულის პატრონს მოქირავნეთათვის უკვე ქირა ნახევარზე შეუმცირებია, ე. ი. რასაც დღემდის იღებდა, ეხლა მის ნახევარსაც სჯერდება.

✦ კვირას, 20 მარტს, **ოლქის სასამართლოს სადგომში შესდგა ტფილისის ნაფიც ვექილთა და მათ თანაშემწეთა საზოგადო კრება.** კრებას უნდა აერჩია დეპუტატები რუსეთის ვექილთა კრებაზე დასასწრებლად, რომელიც შესდგება პეტერბურგში 28 მარტს იმ საკითხების შესამუშავებლად, რომელიც აღნიშნულია 18 თებერვლის უმაღლესს რესკრიპტში. კრებას დაესწრო სამოცზე მეტი ვექილი. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ნაფიცი ვექილი ს. ვ. ჩემესოვი. ბულიგინის კომისიის შესახებ საზოგადო კრებამ დაადგინა შემდეგი: მოითხოვონ, რომ ა) ბულიგინის კომისიამ მხოლოდ დამფუძნებელ კრების კანონი შეიმუშაოს; დამფუძნებელ კრებაში უნდა იყვნენ საზოგადო, პირდაპირის, თანასწორისა და საიდუმლო კენჭის ყრით არჩეულნი; ბ) დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს რუსეთის ყველა ეროვნებათაგან თავისუფლად არჩეულმა წარმომადგენლებმა; გ) დაუყონებლივ უნდა გაუქმდეს გაძლიერებულ დაცვის დებულება, მიენიჭოს თავისუფლება პრესას, სიტყვასა და კრებებს; დაცულ იქმნას პიროვნების და ბინის ხელ-უხლებლობა, განთავისუფლებულ იქმნენ პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ დანაშაულობისათვის გადასახლებულნი და ციხეში დაპატიმრებულნი. შემდეგ კრებამ აირჩია დეპუტატებად ნაფიცი ვექილნი ს. ს. მელიქ-ადამოვი, ს. ვ. ჩემესოვი, ტ. ჩ. იოანისიანი, ლ. ა. ხომენტკოვსკი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე ნიკო ელიავა.

✦ ტფილისის **საკომერციო ბანკის მოხელეებს გამგეობისთვის უთხოვნიათ:** ყოველ სამ წელიწადში ჯამაგირი გვემატებოდეს, უფროსები ხელქვეითებს ზრდილობით გვექცეოდენ, საღამოს მუშაობაში ცალკე ფასი გვეძლეოდესო და სხვა.

✦ **კავკასიის სააფთიაქო მასალით** სავაჭრო ამხანაგობაში მოსამსახურეთა **არჩეულმა კომისიამ** თავიანთ გამგეობას შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინა: მოემატოს მოსამსახურეებს ჯამაგირი. მოეცეთ ამხანაგობის მოგებიდან დივიდენდი, შეუმცირდეთ სამუშაო დრო, მოემატოს მოხელეთა რიცხვს, მიეცეთ ზაფხულობით დასვენების ნება, თავაზიანათ მოეპყრონ მოსამსახურეებსაო და სხვა.

✦ დეკანოზმა **ანტონ თოთიბაძემ** თავი დაანება **ეპარხიალურ სასწავლებლის საბჭოს წევრობას,** რადგან დღევანდელ პირობებში მას შეუძლებლად უცვნია ამ ადგილზე დარჩენა.

✦ დღეს, 22 მარტს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **წევრთა საზოგადო კრება.** კრება განიხილავს ბ-ნთ ვ. ი. რცხილაძისა და ა. მ. დემენტიევის მოხსენებას. ბ-ნ რცხილაძის მოხსენება დღევანდელს ჩვენს გაზეთშია ქვევით დაბეჭდილი. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

✦ **ქართულის დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისას 25 წლის იუბილეი შემოდგომაზე გაუმართოს, რადგან მოძრაობის გამო იუბილეი მაისში მოუხერხებელია.

✦ **კარაკლისიდან დეპეშით ატყობინებენ რკინის გზის გამგეობას,** 20 მარტს, დილის 4 საათზე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს სადგურ ამამლის ახლო რკინის გზის ლიანდაგი გაუფუჭებია, რის გამოც საქონლის მატარებელი № 304 გადავარდნილა. ლოკომოტივი და თორმეტი ვაგონი ძალიან დაშავებულა. სახალხო მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია. რკინის გზის ლიანდაგების უფროსი ინჟინერი მზაროვსკი გამოსაძიებლად წასულა.

✦ გუშინ-წინ, 20 მარტს, საღამოს 8 საათზე რიყის ქუჩაზე ელექტრო-ტრამვაი ვაგონი **დაეჯახა** ცხენოსან დრაგუნს რომელიც ცხენიდან ჩამოვარდა და მძიმედ დაშავდა.

საზოგადოების გამოწვეულია, რასაკვირველია, არა მთავრობის წევრების უმოქმედობით, არა მათი უნიჭობით, არა მათი უთაურობით, არა თეორეტიულის და პრაქტიკულის საკითხების და ღონისძიებათა ხასიათით, რომლებსაც წამოაყენებდა ხოლმე საზოგადოება თავის 50 წლის ცხოვრების განმავლობაში.—არამედ გამოწვეულია იმ ძირითადი **წესის** პირობებით, რომლითაც სწარმოებს სახელმწიფოში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საზოგადო მოქმედება კერძო პირებისა და დაწესებულებებისა,—გამოწვეულია იმ პირობებით, რომლებიც, მთელი თავისი სიმკაცრით დააწვნენ ჩვენს ქვეყანას, როგორც მოკლებულს იმ უფლებებს და უპირატესობას, რომლებიც მინიჭებული აქვთ შიდა-გუბერნიებს ერობის და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახით,—გამოწვეულია ჩვენი ქვეყნისათვის ცნობილი და უპირველესი საჭიროების დაუკმაყოფილებლობით და მისი კანონიერისა და სამართლიანის მოთხოვნილების უყურადღებოდ დატოვებით. ამ ძირითადმა უკუღმართობამ მცხოვრებთ საბოლოოდ დაუკარგა რწმენა თვით კანონისა და იმედი თავის ცხოვრების, ნივთიერად და სულიერად გაუმჯობესებისა, მოწესრიგებისა და თვით ჩვენი მხარე მიიყვანა დღევანდელ უწესრიგო მდგომარეობამდის. მომაკვდინებელი რეჟიმი ბიუროკრატიული წესწყობილებისა, რომელიც სიცოცხლეს უსპობს ყოველსავე საზოგადო საქმეს, რომელმაც შექმნა ამ წესების ძირითადი პირობები, ეხლა 12, დეკემბრის (1904 წ.) მანიფესტის და 18 თებერვლის (1905 წ.) რესკრიპტის ძალით, დაგმობილია თვით უმაღლესი მთავრობის მიერ. მაშასადამე, არაფრისთვის საჭირო აღარ არის დამტკიცება იმ საერთო პირობების უვარგისობისა, რომლებიც ჩვენი სამეურნეო საზოგადოების მოქმედებას აქამდისინ აფერხებდა.

რაკი ძირიან-ფესვიანად დაგმობილია სახელმწიფოს არსებულის წესწყობილების სისტემა, მით უტყუოდ დაგმო ყველა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანოები, როგორც უვარგისის წესწყობილების გამომხატველი ფორმები და, თუ კიდევ არსებობენ ეს უკანასკნელნი, არსებობენ ,,დროებითი''-ს და ,,წარმავალის'' სახელით. ზოგი ამ დადგენილებათაგანი შეიძლება, კვლავ სასურველად იქმნეს ცნობილი, შეცვლით ან შეუცვლელად. დანარჩენები-კი სრულიად უნდა შესცვალოს ახალმა დადგენილებამ.

ამ ახალ წეს-რიგის მომწყობნი სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა წარმომადგენლები უნდა იყვნენ, რაც უნდა განეცხადოს უმაღლესს მთავრობას, ვინაიდან ერთად-ერთი გზაა საუკეთესო მომავლისაკენ.

მეფემ და ხალხმა ერთად დაგმო ყველა სახელმწიფო ორგანოები, როგორც თანამედროვე უვარგის წესწყობილების გამომხატველები; მათვე, როგორც საქმის ორმა მცოდნე ძალამ, მშვიდობიანის მსჯელობით უნდა შეიმუშაონ ის ახალი პირობები, რომლებითაც არსებული ძველი წესი უნდა შეიცვალოს.

აქედან თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთი დიდი საქმე არ უნდა მიენდოს არსებულ სახელმწიფოს ორგანოებს, არც მათ მეთაურებს, რადგან იმათ დიდი ხანია ხალხის ნდობა დაჰკარგეს. არ უნდა გადაეცეს მათ განსახილველად არც ჩვენი კრების დადგენილებანი, რომელთაც აზრად ჰქონებათ, მოაწყონ კეთილი ცხოვრება თითოეულის რაიონის ან ერისა, როგორც მთელის სახელმწიფოს განუყოფელის ნაწილისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უვარგისი ბიუროკრატიული წესწყობილების განახლება ისევ ბიუროკრატიულ გზას ადგება.

მაშ, უპირველესად ყოვლისა, საჭირო და შესაძლოცაა მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საერთო, პირდაპირისა და ფარულის კენჭის ყრით არჩეული მთელი რუსეთის მკვიდრთა წარმომადგენელნი, მათ რიცხვში კავკასიისაც.

მაგრამ ეს პირველი აქტი—წარმომადგენლების არჩევა ზემო აღნიშნულ წესით—შეუძლებელია სრულიად და შეგნებულად შესრულდეს მანამდის, ვიდრე ხელმწიფე არ მისცემს ხალხს შეძლებას, ე. ი. არ გამოაცხადებს თავისუფლებას ბეჭდვის, კრებისა და კავშირისას, ვიდრე უზრუნველ-ყოფილი არ იქნება პიროვნებისა და ბინის ხელუხლებლობა და ყველა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ საქმეთა გამო გადასახლებულებს არ დააბრუნებენ.

ჩვენის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოს ის სურვილი, რომელიც მან შარშან 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში და ამა წლის 18 თებერვლის რესკრიპტში გამოხატა.

ვ. რცხილაძე.

ქუთაისის ცხოვრება

რაჭა-ლეჩხუმში მოძრაობა დაიწყო. კაზაკების დაბარება ქუთაისიდან. ამბის გაუმართლებლობა. ყაჩაღთა შეპყრობა. სტრატეგიული წინდახედულობა. გუბერნატორის მოგზაურობა. სკოლების მიტოვება.

ამ დღეებში დ. ონიდან გუბერნატორმა გამოიწვია იქაური მაზრის უფროსი შიტგაუერი რაჭაში დაწყებულ მოძრაობის ამბების გამოსაკითხად. მოახსენა თუ არა გუბერნატორს ყველაფერი, შიტგაუერი გუშინ, 17 მარტს, ისევ გაბრუნდა ონში, დღეს ტელეგრაფით კაზაკ-რუსების ჯარი დაუბარებია.

ლეჩხუმიდან ჩამოსულებმა გვიამბეს, ბოქაული მახარაძე, რომელიც ქუთათურებს მოშორდა და თავი ლეჩხუმს შეაფარა, არ მოუკლავთო.

დღეს, 18 მარტს, 11 საათზე, ტფილისის ქუჩაზე, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ, თავს დაეცნენ ეტლით მიმავალ სადგურის უფროსის თანაშემწეს მერკულოვს, რომელსაც ხაზინაში 7,000 მან. მიჰქონდა, და ეს ფული სულ წაართვეს. თავდასხმა მოხდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ორი დღის წინათ სადგურის უფროსი ჟიდოვი გაძარცვეს და 3,000 მანათამდე წაართვეს. ჟიდოვის გამძარცველები ვერ ნახეს, ხოლო მერკულოვის გამძარცველები დამალულან იქვე ნესაპის ბოლოს ქვეშ გაყვანილ წყლის გასავალ არხში. არხში შესვლის დროს სხვას ეზოდან ვიღასაც თვალი მოუკრავს და პოლიციისათვის მიუსწავლებია. პოლიციაც აუარებელ სტრაჟნიკებითა და კაზაკებით გარს შემოერტყა ნემსაძის ბაღის, ახლო-მახლო ადგილებს. ხვრელში სანთლით შეგზავნეს დესიატნიკი ლორთქიფანიძე, რომელიც თავს წააწყდა ოთხს შეიარაღებულ ახალგაზდას. შეშინებულმა ყაჩაღებმა სთხოვეს მას: ნუ გვესვრით და ჩვენ თვითონ გამოვალთო. მართლაც, ფულიან-იარაღებიანად დანებდნენ შემოსეულ ჯარს. მთელმა ქალაქის თავმოყრილმა ადმინისტრაცია-ჟანდარმებმა ისინი მიიყვანეს სადგურზე, სადაც გამომძიებელმა პოლიციისა და ჟანდარმების თანადასწრებით ჩვენება ჩამოართვა შეპყრობილთ. ესენი არიან: ჯაიანი კვირკველია, ადეიშვილი და ებრაელიძე. შეპყრობილთ შეეკითხა გამომძიებელი,—13-ს თქვენ გაძარცვეთ სადგურის უფროსი ჟიდოვსკი თუ არაო? მაგრამ იმათ უარი განაცხადეს ჩვენ ამისი არა ვიცით-რაო. საღამოს 5 საათზე გამოძიება გათავდა და ოთხივე შეპყრობილი, თოკებით შებოჭილი, დამნაშავე აუარებელ ხალხის თანადსწრებით პოლიციამ და ჯარმა ციხეში წაიყვანა.

⁂

უკვე გამოცხადებულ სამხედრო წესების ძალით, ამბობენ, ქუთაისი სამ ნაწილად გაუყვიათ და სამი გენერლის და პოლკოვნიკისათვის ჩაუბარებიათო. ამათ თავიანთ რაიონებში მშვიდობიანობა უნდა დაიცვან.

⁂

ქიათურაში ახალ გენერალ-გუბერნატორისათვის უარი განუცხადებიათ იმ 3000 მან. გადახდაზე, რომელიც მათ ამას წინედ პოლიციელის მხეიძის ორი დარაჯის მოკვლისათვის მთავრობამ შეაწერა. აქედან დაბრუნებული გუბერნატორი გურიაში წავიდა იქაურ ახლანდელი მდგომარეობის გასაგებად.

⁂

დღემდე საეპარქიო ქალების სასწავლებელში მეოთხე კლასამდე სწავლა არ იყო შეწყვეტილი. დღეს დაბალი კლასის ქალიშვილებმაც განაცხადეს: თუ უფროსები არ სწავლობენ, აღარც ჩვენ გვინდა სწავლაო, და სასწავლებელს თავი მიანებეს თავი მიანებეს სწავლას აგრეთვე ვ. პეტრიაშვილის საქალაქო სასწავლებელში, სადაც შეგირდებმა ფანჯრები სულ დალეწეს.

ის —არიძე.

გურიის მოძრაობის შესახებ.

—

„ნოვოე ვრემია“-ში იყო მოყვანილი იმავე საქმის შესახებ ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, აზრი, ამოღებული სხვა გაზეთებიდან.

«რაზსვეტი» ამბობს, რომ

„გურიის ამბებს არავითარი კავშირი არა აქვს რუსეთის საზოგადო მოძრაობასთან. ამ ამბების მიზეზებიც ადგილობრივია, თვით მოძრაობასაც აქვს ეკონომიური ხასიათი და მიზნები“.

„სანკტპეტერბურგის უწყება“, პირიქით, ამტკიცებს, რომ

„გურიის მოძრაობას ქართველობისა არაფერი ეტყობა, ის ამბები მხოლოდ რუსეთში დაწყებულ მოძრაობის შედეგია. სოციალისტების წრეები არსებობდა ყველგან და ყოველთვის და მათ თავიანთი მომხრეებიც ჰყოლიათ; ქართველების სოციალისტური წრეებიც საზოგადო მოძრაობის პირდაპირი შედეგია.

ვინც არ იცნობს გურიას, მისთვის ეს ორი აზრი უთუოდ შეუთანხმებელი იქმნება, თუმცა ნამდვილად ორივე გამოხატავს გურიის მოძრაობის სხვადასხვა ხანას და ორივე ახასიათებს სისწორით იმავე მოვლენას. მეც გურიაში ვარ დაბადებული, დედით გურული ვარ, იმ მხარეში მყავს ნათესავები და ნაცნობები იმ დროიდან, როდესაც მამა ჩემი ადგილობრივ სოფლის მეურნეობას ადგა და ასწავლიდა ამავე მეურნეობას მეზობელ გურულებს ვორონცოვის დროს, და ამიტომ კარგად ვიცნობ ამ კუთხეს და შემიძლიან გამოვაცხადო, რომ გურულების უკმაყოფილების მიზეზი ადგილ-მამულის სივიწროვეა. უმიწაწყლობა აწუხებს გურიაში გლეხს და ხშირად თვით აზნაურსაც. გურიის თავად აზნაურობა უმეტეს ნაწილად წვრილფეხა აზნაურობაა და მას მიწის შემოსავალი ძლივს ყოფნის თავის სარჩენად. ინტენსიურ კულტურის შემოუღებლად მიწის შემოსავალი ვერ არჩენს იქ პატრონს იმ შემთხვევაშიაც, თუ თავის ხელით დაიმუშავებს პატრონი ადგილს. ამნაირი აზნაურები ეკონომიურად უკიდურეს მდგომარეობაში არიან, მათ შორის ნამდვილ პროლეტარებს ვიცნობ პირადად. სახნავ-სათესი ცოტაა და პატრონს არ შეუძლია დაასვენოს ზოგიერთი ადგილი. სახნავ-სათესად არის გადაქცეული ბაღები, რის გამოც მოისპო ადგილობრივი საუკეთესო ყურძენი სოფლად, საზოგადოდ კულტურის დაქვეითებისა გამო, და უწინდელ ყურძნის მაგივრად შემოვიდა „ადესა“ ანუ „იზაბელა“. ხელმოკლე გურულები ვერ ახერხებენ ამერიკის ვაზის მოშენებას, ვინაიდან საამისოდ საჭიროა ცოდნა და ფული. დაღალულ მიწის მონოყიერებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ვინაიდან სოფლად თითქმის აღარ არის მსხვილფეხა მოშინაურებული პირუტყვი,—მისი რჩენა აღარ შეუძლიანთ გურულებს. საბალახო ადგილებიც არ არის, პირუტყვს ასაზრდოებენ ხის ფოთლებით, მაგრამ ეს ფოთლებიც საკმარისად არა აქვთ. აღმოსავლეთ გურიაში, მაგ., რომელსაც უკედ ვიცნობ პირადად, ამ უკანასკნელ წლებში სულაც აღარ ინახავენ ძროხებს, ვისაც სჭირია რძე, თხებს ინახავს,—უფრო ადვილი შესანახია.

აქ აწერილი მაქვს გურულების უმწეო-მდგომარეობის მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი, მხოლოდ ის, რაც ჩემის თვალით მაქვს ნახული, და ეხლა ვიმეორებ, რომ სოფლის მოძრაობა გურიაში აღმოცენდა ეკონომიურ საფუძველზე. ამ მხრივ მართალია გაზ. „რაზსვეტი“.

მეორეს მხრივ, ადგილობრივ ხალხის გაუცნობლობამ, მის აუცილებელ მოთხოვნილებათა კავკასიის ადმინისტრაციის-მიერ უყურადღებოდ დატოვებამ ისა ჰქმნა, რომ გურულების ეკონომიურ მოძრაობას ბოლოს პოლიტიკური ხასიათი მიეცა. ბ-ნი კრიმ-გირეი რომ ეკითხებოდა გურულებს იმათ საჭიროებას, გურულებმა ვერ მოახერხეს თავიანთ ჭირ-ვარამის შესაფერად გამოთქმა და ამიტომ საკუთარ საჭიროების გამოსახატავად არსებულ საპოლიტიკო ფორმულებს მიჰმართეს (გურულები ხომ საზოგადოდ მეტად მკვირცხლი ჭკუის პატრონნი არიან, ადვილად ითვისებენ ყოველ ახალ აზრს),—და ამნაირად მათ მოძრაობას დაეტყო ის გარეგანი სახე, რომელმაც „სანკტპეტერბურგის უწყებას“ ათქმევინა ზემოდ მოყვანილი სიტყვები.

მაგრამ ნუ თუ იქმნება ვინე, რომ ესროლოს ქვა გურულებს, რადგანაც ვერ მოახერხეს თავიანთ აუცილებელ საჭიროებათა შესაფერად გამოთქმა და თავისი საკუთარი თეორია ვერ გამოიგონეს ადგილობრივ საქმეების გასაუმჯობესებლად? ვის უსწავლებია როდისმე გურულებისთვის საქმის გარკვევა, თავისებურად მისი ახსნა და გამოთქმა? პირიქით, კავკასიის სამოსწავლო უწყება ყოველთვის აფერხებდა სწავლა-განათლების საქმეს გურულებში! ჩვენს სოფელში, მაგ., (ერკეთის საზოგადოება, საყვავის-ტყე), ძმ. შარაშიძეებმა თავიანთ უკანასკნელ გროშებით დაარსეს სამინისტრო პროგრამის კერძო სასწავლებელი, სადაც სამეურნეო განყოფილებაც უნდა ყოფილიყო (ერთი ამ ძმათაგანი მცოდნე მეურნე არის) სასწავლებელთან იყო გამართული ამერიკის ვენახის სადედე ზვარი. სწავლა მშვენივრად მიდიოდა, არა ერთხელ დავსწრებივარ მე თვითონ გამოცდას და გავკვირვებულვარ ბავშვების პასუხებით.

როგორ დააფასა სამოსწავლო უწყებამ ეს კულტურული დაწესებულება? რა გზას დაადგა იგი, როდესაც ამ მშრომელმა ხალხმა, ერთ პროფესორის პირით, სთხოვა მცირეოდენი სუბსიდია სახალხო საქმისათვის? (საკუთარი შემოსავალი მართლაც არ ჰყოფნიდათ აუცილებელ ხარჯების გასაწევად) რას აკეთებდა საზოგადოდ იგი ამ უკანასკნელ ხანებში, უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში ხალხში განათლების გასავრცელებლად, ხალხის განვითარებისათვის?

კავკასიის ეხლანდელ მდგომარეობის გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა ამ კითხვებზე ნამდვილი პასუხის მიგება,—საჭიროა იმისთვის, რომ კარგად გავითვალისწინოთ არსებული სენი, და საამისოდ გურიაში კი არ უნდა იგზავნებოდეს კაცები საქმის გამოსარკვევად, არამედ—კავკასიის მართველობის კანცელარიებში.

აი, აქ არის საჭირო რევიზია, თუ მართლა უნდა რუსის საზოგადოებას კავკასიისა და კერძოდ გურულების მდგომარეობის გაგება და თუ მათ სამართლიან მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც მართლა აქვს განზრახული მთავრობას.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ყველა სხვა ზომას მხოლოდ დროებით დამშვიდება თუ მოჰყვება, სენის მოსპობა კი მას სამუდამოდ არ შეუძლიან.

პროფ. ნ. მარრი.

(„ნოვოე ვრემია“ № 10452).

სადღეისო

საქმიანობა თუ გამოძიება?

„გუბერნიის უფროსმა უნდა იცოდეს **ყველაფერიო**“, და სწორედ ამიტომ არის, რომ გუბერნიის მოხელეებმა საჭირო დროს არ იციან ის, რაც უნდა იცოდნენ, ვერ ჰგრძნობენ იმას, რაც აუცილებლად უნდა ეგრძნოთ წინდაწინვე,—და, სამაგიეროდ, ყოველთვის მზად აქვთ იმათი სიები, ვინც იჩენს მოუსვენარ ხასიათს ან მეტ-მეტებს ლაპარაკობს საზოგადოებაში.

ეს საქმეა, დიდი საქმეა, **საპოლიტიკო** საქმე!.. ამ საქმისათვის ცნობის მოყვარეობაც არის საჭირო. უნდა შეიტყოს ადამიანმა, რას ჰფიქრობს, რას ჰკითხულობს ან რასა სწერს ამა თუ იმ გუბერნიის მცხოვრები. ამ დღეებში, მაგ., იყო დაბეჭდილი ცნობა, რომ ვლადიმირის გუბერნატორმა მოიკითხა ადგილობრივ ფოსტაში იმისი ცნობა, თუ ვინ იწერს გაზეთებს «ნაშა ჟიზნ» და «ნაში დნი».

ესეც საქმეა, საქმე დიდმნიშვნელოვანი!.. იმის მიხედვით, თუ რამდენად არის გავრცელებული ესა თუ ის გაზეთი, შეიძლება მიუხვდეს ადამიანი ხალხის მიმართულებას და ,,სიების'' შედგენაც შეიქმნება შესაძლო. ამ სიებში ჩაუმატებენ: „ვამოწერილი აქვს გაზეთი ,,ნაშა ჟიზნ.'' ამ ცნობის გამოყენებაც ხომ ადვილი არის,—გუბერნატორმა, მაგ., უნდა წარადგინოს ხოლმე გუბერნიაში მოსამსახურე მოხელეთა დახასიათება,—ეხლა ხომ დახასიათებაც ხელში აქვს; ამა და ამ გაზეთს იწერსო, ამა და ამ გაზეთს კითხულობსო.

თქმა არ უნდა,—ჩვენი ადმინისტრაცია ძალიან ყურმახვილია და ამიტომ შეუძლია იდგეს მოშორებით ცხოვრებასთან და ისე განაგოს ყოველიფერი. დარწმუნებული ვართ,—ზოგიერთი გუბერნატორი დღემდის არა სცნობს კანონიერად რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთის უკანასკნელ ექვსი თვის ისტორიას. როგორც პლევეს დროს ყოფილა, ისევე უნდა იყოს ეხლაც. პლევეს დროინდელი წესია კანონიერი, დანარჩენი კი—„არეულობა“ და „უწესოებაა“. ეს უწესოება მოსდებია მთელ სახელმწიფოს და ამიტომ დრო-გამოშვებით, შეტაკების თავიდან ასაცილებლად, უნდა ვიანგარიშოთ, ვინ არის ამ უწესოებაში მონაწილე, ვის მოუწერია ხელი პეტიციებზე, ადრესებზე, და მოვუყაროთ თავი ყველა იმ საბუთს, რომელიც „უწესოების“ არსებობას ან გავრცელებას ამტკიცებს.

საუბედუროდ, ასეთი გამოძიება აინტერესებს იმ დაწესებულებასაც, რომელიც ყოველთვის უნდა სცდილობდეს თავისუფლების დაცვას საზოგადოებაში. გაზეთებში ეწერა, ერთ ოლქის მზრუნველს მოუთხოვია საშუალო სასწავლებლების დირექტორებისათვის,—შემატყობინეთ იმ მასწავლებლების გვარები, ვისაც მოუწერია ხელი ჟურნალ „პრავოს“ მე-6 №-ში მოყვანილ რეზოლიუციაზე.

ვისთვის ან რისთვის არის საჭირო ასეთი გამოძიება? ადმინისტრატიულ წესით ადამიანის დასასჯელად? იმიტომ, რომ დაისჯის ადამიანი ისეთ საქციელისთვის, რომელიც ვიღაცასთვის არ არის სასურველი, თუმცა კანონით ეს საქციელი აკრძალული არ არის!

ხალხი იტანჯება ამნაირ წესების გამო. დრო არის მათი მოსპობისა.

მასწავლებელი სასწავლებელში ასწავლის; ჩინოვნიკი დანიშნულ დროს კანცელარიაში მუშაობს. დანარჩენი დრო მისი საკუთრებაა და ამიტომ მას შეუძლია დანარჩენ დროში თავის ნებაზე ცხოვრება. თ-დი მეშჩერსკი, უთუოდ, დაუმატებს ამას,—შეუძლია ხალხის აღელვებაო, ბუნტის მოხდენა.

მაგრამ ამაზე ვუპასუხებთ,—დასაჯეთ, გაასამართლეთ, მაგრამ გაასამართლეთ სასამართლოში; ადამიანის დასჯაში ნუ ექმნება ადგილი კერძო ადამიანის,—თუნდ უფროსისაც—კერძო შეხედულებას, სურვილებს, დასაჯეთ ბოროტმოქმედებისათვის, და არა იმისთვის, რასაც „საეჭვო მიმართულებას“ ეძახით.

ადამიანის დასჯა შეიძლება რაიმე გარკვეულ ბოროტ-მოქმედებისთვის და არა იმისთვის, რასაც გულში ფიქრობს ან ჰგრძობს, რუსეთში კი ისჯება ადამიანი თავის ფიქრისთვის, სურვილებისთვის.

რუსეთი დატანჯულია იმით, რომ დაუსრულებელი შეიქმნა პოლიტიკურ საქმეებზე ათასნაირი გამოძიება. ამ გამოძიებამ ყველას ჩაუკლა გულში გრძნობა და აზრი. ვინ დასთვლის იმას, რამდენი მსხვერპლი შეიწირა ამ საშინელმა სიტყვებმა: „პოლიტიკურად არა საიმედოო“. გამოძიება, დამყარებული უბრალო ეჭვზე, პოლიციის ზედამხედველობა, ადამიანის დატუსაღება, გადასახლება და სხვ. და სხვ.,—ყოველმავე ამან გარყვნა ხალხი, ველურობის ელფერი დასდო საზოგადო ცხოვრებას.

ახლა ხომ სჩივის საერთოდ ყველა, ხომ იშვიათია ნიჭიერი და მცოდნე მოხელე. სჩივიან, რომ ჯარში არ არის ნიჭიერი სარდალი. კარგად დახვეტილია რუსეთი და ცოცხალ იყო სიტყვები „პოლიტიკურად არა საიმედოო“...

ყველას უნდა, რომ სასწავლებელში იყვნენ ნიჭიერი და მცოდნე მასწავლებლები, უნდა, რომ მოხელეებად ტიკინების მაგივრად იყვნენ ცოცხალი, მცოდნე და საკუთარ აზრის მქონე პირები. ყველამ იცის, რომ ასეთ მოხელედ გამოდგება მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი დამოუკიდებელი აზრი, ვინც არის დამოუკიდებელ ხასიათის პატრონი მაგრამ ისიც იცის ყველამ, რომ ამნაირი ადამიანი ვერ იკმარებს ქაღალდების გადაწერას ან არითმეტიკის სწავლებას. მას უნდა სიცოცხლე! უნდა იცოცხლოს კიდეც, და არა გვსურს, რომ ბოლოს გადაიქცეს უსულო მანქანად. სიცოცხლისათვის კი არის საჭირო კითხვა, აზრი, გრძნობა, აღელვება, კამათი იმაზე, რითაც ცოცხლობს და რაზედაც ფიქრობს ყოველი ცოცხალი და განათლებული ადამიანი

საუბედუროდ, ამაზე ლაპარაკი კიდევ საჭირო ხდება. საჭირო ხდება იმის თქმა, რომ ადმინისტრაციას სხვა საქმეც აქვს გასაკეთებელი, რომ მას არ შეუძლია დრო გაატაროს იმის ძებნაში, თუ ვინ იწერს ამა თუ იმ მავნე მიმართულების გაზეთებს. სამოსწავლო ადმინისტრაციამ უნდა ადევნოს თვალ-ყური სწავლის საქმეს, და არა იმას, თუ რას აკეთებენ მასწავლებლები სასწავლებელს გარეთ და იმ დროს, რომელიც ეკუთვნით მათვე. ახლა კი ისეა დაყენებული საქმე, რომ მასწავლებლები თუ ქეიფობენ, ქაღალდს თუ თამაშობენ, არშიყობაში თუ ატარებენ დროებას, კარგია, სასიამოვნო! თუ ფიქრობენ, ჰკითხულობენ, მონაწილეობას იღებენ საზოგადო ცხოვრებაში და ცდილობენ ისე მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, როგორც განათლებულ ადამიანს შეშვენის, საამისოდ ხელსაც თუ აწერენ რაიმე თხოვნებს და რაიმე რეზოლუციებსაც ადგენენ,—ეს მავნებელია, ეს ბოროტ-მოქმედებაა, ვინაიდან ეს თვით პირი „პოლიტიკურად არა საიმედოა“.

წინად, ცნობილი ბენკენდორფი „საშიში“ პირთა სიებს რომ ათვალიერებდა, ყველაზე უფრო „საშიშ“ გვარებს მიუწერდა ხოლმე: „პოლიტიკას მისდევსო“.

ახლაც ასეა! ახლაც ჰყვირიან და გაიძახიან: „პოლიტიკას მისდევთო! მავნე პირი ხართ და ამიტომ არ შეიძლება თქვენი გაჩერება სამსახურში (მთავრობის სამსახურში, საერობო თუ ქალაქის თვითმართველობაში); შემოიტანეთ წასვლის თხოვნაო!“

რა უბედურებაა! რა საშინელებაა!

როდის-ღა მოისპობა ასეთი მდგომარეობა რუსეთში?! *)

---

*) „რუსკოე სლოვო“ № 91.

პრესსა

გაზ. „მშაკ“-ის აზრი სოფლის შესახებ.

ყაზახის მაზრაში ცხოვრობენ უმთავრესად სომხები და თათრები. ესენი განსაკუთრებით მიწის დამუშავებას ადგიან და საქონლის მოშენებასაც. მაჰმადიანი გლეხები ხნავენ აღალარების მიწებს და იხდიან იჯარას (ბაჰრ),—მიწის პატრონს მიაქვს $^1/_{10}$ მოსავალი. სომხები ძველადგანვე უმთავრესად მთების კალთებზე ცხოვრობდნენ და ტყეებში,—იმ დროს შიშიანობა ყოფილა. შემდეგ სომხებმა თანდათან გაჰკაფეს ტყეები, ზოგი ადგილი დახნეს, ზოგან კიდევ გააშენეს სახლები და საქონლის მოშენებას დაადგნენ. გლეხები სარგებლობდნენ სათიბ-საბალახოებით, მაგრამ ამ თორმეტი წლის წინად ამ ადგილებით სარგებლობა მოუსპეს და ამითი მეტად შეაფერხეს საქონლის მოშენება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა.

სოფლის უბედურ მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ დღემდის კიდევ არ იციან სოფლელებმა საკუთარ და სახაზინო ადგილების საზღვრები და ამითი სარგებლობენ ტყის მცველები და ძარცამენ სოფლელებს. ისეთი მაგალითები ყოფილა, რომ გლეხი საკუთარ ეზოში ხეს რომ მოსჭრიდა, ამისთვის აჯარიმებდნენ,—და თუმცა ამაზე საჩივარი შეჰქონდა, სადაც ჯერ არს, მაგრამ ამ თავის საჩივარზე პასუხიც კი არ მიუღია.

 აი, ასეთი შემთხვევები სასოებას უკარგავდნენ სოფლელებს. რა უნდა ჰქნას? გასაჭირი დიდი აქვს, მაგრამ ენა არა აქვს, რომ გამოსთქვას თავისი საჭიროება,—„ჩინოვნიკს“ არ ესმის გლეხის ენა, გლეხს კიდევ „ჩინოვნიკისა“ არა გაეგება-რა;—საჩივარი და საქმის წარმოება თარჯიმანზეა დამოკიდებული და მხოლოდ თვითონ თუ იციან, როგორ, როგორის სისწორით ასრულებენ ეს თარჯიმანები თავიანთ მოვალეობას.

ბაქოს ამბებმა ყველანი ააღელვა,—იკრიბებოდნენ. ლაპარაკობდნენ, ძმობა-ერთობას ჰქადაგებდნენ, მაგრამ თუ უნდა ვისმე რომ ეს ძმობა-ერთობა მტკიცე შეიქმნეს, რომ შემდეგ „ბნელმა ძალებმა“ ვეღარ შეაცდინოს ხალხი, უთუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება სოფელს და ეცადოს სასწავლებლების გამრავლებას.

სასწავლებელს შეუძლიან დაუახლოვოს ერთმანეთს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. სასწავლებლებმა უნდა შეასმინოს ხალხს, რომ სარწმუნოებისა და ენის სხვადასხვაობა არ უნდა შეიქმნეს უთანხმოების და ხოცვა-ჟლეტის მიზეზად. უნდა გვიხაროდეს, რომ მოკლე ხანში ჩვენ მეზობელ თათრებს ექმნებათ ტფილისში სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან სოფლის ცხოვრებისათვის. აქ მოემზადება ახალგაზდობა სოფელში წასასვლელად და ეს ახალგაზდობა დიდ კვალსაც დაამჩნევს სოფლის ცხოვრებას.

ყველამ თუ ვიმოქმედეთ, იმედია, რომ ჩვენში მოეღება ბოლო სიავეს.

მღვდელი მელქისედეკ.

რუსეთი

პედაგოგიურ საზოგადოების საბჭომ მოხსენება შეიმუშავა საშუალო სასწავლებლებში საქმის მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებაში საბჭოს თავი მოუყრია ყველა იმ მოთხოვნილებისათვის, რომელიც სხვადასხვა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთ წარუდგენიათ. გამოუკვლევია მიზეზები მოსწავლეთა უკმაყოფილებისა და გამოურკვევია ის ზომები, რომელიც, საბჭოს აზრით, საშუალო სასწავლებელს დაამშვიდებს. მიზეზად მოსწავლეთა „ამბოხებისა“ საზოგადოებამ აღიარა ის პოლიციურ-ბიუროკრატიული წესწყობილება დღევანდელი საშუალო სკოლისა, რომელიც სრულებით უარსა ჰყოფს საზოგადოების თვით-მოქმედებას და ვრცელ ადგილს სკოლის ცხოვრებაში უთმობს ჯაშუშებისა და დასმენის სისტემას და ეროვნულ-სარწმუნოებრივს სიძულვილის გავრცელებას; იმავე პოლიციური რეჟიმის წყალობით სკოლებში საძაგლადაა დაყენებული სწავლა, სკოლა სამოსწავლო მხრივ სილატაკეში ჩავარდნილი და მოსწავლეთა სკოლის გარეშე ცხოვრებას ადმინისტრატიული ბორკილი ადევს. ამასთან ერთად პედაგოგიურმა საზოგადოებამ ის აზრი გამოთქვა, რომ სასკოლო რეჟიმის ყველა ამ ნაკლულევანებათ განუშორებელი კავშირი აქვს რუსეთის ცხოვრების დაძველებულ პირობებთან. ამიტომაც პედაგოგიურმა საზოგადოებამ გადასწყვიტა:

1) საზოგადოების ყოველი წევრი ზნეობრივად მოვალეა დაიცვას და მხარი დაუჭიროს პედაგოგიურ რჩევებზე, ლიტერატურაში და საზოგადო კრებებზე მოსწავლეთა სურვილებსა და მოთხოვნილებას, რომელნიც რუსულ სკოლის ძირითად ტკივილების მოსასპობად არიან მიმართულნი; 2) რომ თვით საზოგადოების წევრები მოვალენი არიან თვითონ თავისი მაგალითით შეიტანონ ცხოვრებაში სკოლის ახალი სისტემის მოთხოვნილებანი და 3) რომ მთელი საზოგადოების მოვალეობაა, თავისი ძალ ღონე და მომზადება სახელმწიფო წესწყობილების და ერის კეთილდღეობის გაუმჯობესობის საქმეს მოახმაროს. ბოლოს პედაგოგიურმა საზოგადოებამ შეუძლებლად სცნო ვისმე მოახვიოს თავს მიზეზი მოწაფეთა აღელვებისა, რის გამო გამოაცხადა თავის პროტესტი და მოწაფეთა დასჯის წინააღმდეგ იმ მოსაზრებით გამსჭვალულმა, რომ ამისთანა დასჯისა და ძალდატანების მოსპობა საძირკვლად დაედება იმ ზნეობრივ დამეგობრებას და დაახლოვებას პედაგოგთა და მოსწავლეთა შორის, ურომლისოთ ვერც ერთი ნორმალური სკოლა ვერ გასძლებსო (რ. ვ.).

გორკის ვექილს გრუზენბერგს შემდეგი უთქვამს „რუსის“ თანამშრომლისათვის: გორკის პასუხის გებაში მიცემა იმ სამწუხარო ამბების პირდაპირი შედეგია, რომელიც 9 იანვარს პეტერბურგში მოხდა. გორკის ჰბრალდება იმ მოწოდების შედგენა, რომელშიაც მოთხრობილია იანვარში პოლიციასა და მუშებს შორის მომხდარ სისხლის ღვრის ამბავი. იმ მოწოდების დედანი უპოვნეს ნაფიც ვექილს და ხმოსანს კედრინს, რომელმაც მოწოდების ავტორი არ დაასახელა და სთქვა, არ მახსოვს, ვინ გადმომცაო. გორკიმ სთქვა, მე დავწერე მოწოდება და დამნაშავედ ვცნობ ჩემს თავსაო

საზოგადოებას გაუკვირდა, როცა გაიგო, თავდებად გორკის მორთმევი დაუდვა და 10 ათასი მანათი სათავდებოდ შეიტანაო; გაუკვირდა იმიტომ, რომ საზოგადოებაში ხმა გავრცელებული, ვითომც გორკის დიდძალი სიმდიდრე აქვსო. ამის პასუხად მე შემიძლიან ვსთქვა, რომ თუმცა გორკი ათასს თუმნობით იღებს თავის თხზულებებში, მაგრამ მატერიალურად მაინც უზრუნველყოფილი არ არის, რადგანაც თითქმის მთელი შემოსავალი გორკისა მის ძრავალ სტიპენდიანტებს უნდება, რომელნიც მაღალ სასწავლებლებში სწავლობენ და რომელთა შორის ზოგ-ზოგი გორკისაგან თვეში 100 მ. იღებენ. ამის გარდა, გორკი უხვად სწირავს ფულს სახალხო სამკითხველოებს, სასადილოებს, სხვადასხვა სახალხო დამხმარებელ და განმანათლებელ დაწესებულებათ. ამისათვის კი ათასი თუმნები კი არა, ასი-ათასიც არ კმარა. აი, ამიტომ დასჭირდა გორკის მორთმევის თავმდებობა“ (რ. ვ.).

იალტაში 14 მარტს აჯანყებულა ხალხი და გაუნადგურებია, როგორც კერძო სახლ-კარი, ისე საუფლისწულო მამულიც „ლივადიაში“, საიდანაც ძლივს დაუღწევია თავი ამ მამულის მოურავს, კამერგერს მარტინოვს. იალტაში 12 მარტსაც მომხდარა არეულობა. ბრბოს დაუნგრევია საპოლიციო ნაწილი, ციხე, გაუნთავისუფლებია ტუსაღები და დაულეწია ქალაქის ქუჩებში დუქნები და მაღაზიები, რასაც დიდი ზარალი გამოუწვევია. პოლიციას ვერას გზით ვერ შეუჩერებია ეს ძარცვა-რბევა, რომლის დროსაც ბრბოს 50 მაღაზია და რამდენიმე კერძო სახლი გაუნადგურებია (რ. ვ.).

კორესპონდენცია

ოზურგეთი. ვითომდა სად. ნატანების ანტი-სანიტარულ მდგომარეობის გამო, აქ მდომი ჯარები უკვე ოზურგეთში გაჩნდათ, ახლო მახლო მდებარე მანდგრები ჯარის კაცთა კარვებით გაივსო, ზარბაზნები შესაფერ ადგილას დაიდგა. სამხედრო მუსიკის ორკესტრებმა დაჰკრეს და ქალაქის სურათიც შეცვალა. ქუჩებში დღისით-ღამე ჯარის კაცთაგან შემდგარი პატრულები დადიან, საღამოს 8 საათიდან დილის 8 საათამდის ქუჩებში გამოსვლა სასტიკად აკრძალულია; ჯარების უფროსმა განცხადება გააკრა: „კანონიერი წესრიგი დაცული იყოს და თავიანთ საქმეების შესახებ მამართონ მთავრობის მოსამართლეებს და უეჭველად მათი კანონიერი მოთხოვნილებანი შესრულდება; ვინც ამას არ შეასრულებს, სასტიკად იქნება დასჯილი“... და ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ იმ დელიგანდებმა, რომლებმაც გასულ წლებში თავიანთ „მოღვაწეობით“, თავი ისახელეს, ხოლო ამ ბოლო ხანებში ტყუვებივით იყვნენ მიმალულნი, ახლა უცებ თავი გამოყვეს, წელში გასწორდნენ და გაბედულათ და სახე გაბრწყინებით მოაბიჯებენ: „ახლა ვნახავთ თქვენს სეირსო“! როცა ასეთი დიდი ძალა მოუმატათ, რასაკვირველია, დიდის გულმოდგინეობით განაგრძობენ თავიანთ „მოღვაწეობას“...

ამის შემდეგ აღარც ის არის საკვირველი, რომ ერთი ბოქაული, რომელმაც ამის წინად სამსახურს თავი დაანება, ახლა კედელზე თავს არახუნებს და იძახის: „ახ, რათ მომივიდა ეს სისულელეო“. თავისუფალი ადგილი რომ იყოს, ახლა «გოროდოვოის» თანამდებობასაც თავისუფლად შეასრულებდა! მაგრამ არა უშავს-რა სხვაფრივაც შეუძლია „იმეცადინოს“ და მით „ძველ მოღვაწეებს“ შეუერთდეს!

მაგრამ ვიღას ურთდება ის ფოსტის მტირალა მოხელე, რომელმაც „გულ-ამოსკვნით შესჩივლა, „ვაიმე ჯერ არის: „თქვენ რომ არ მოსულიყავით, ხალხს ჩემი მოკვლა უნდოდაო“. ეს მოხელე დღემდე აქ დის, „პატიოსანი“ კაცად იყო ცნობილი და არასდროს არავის აწყენდა და იძულებს არ მიეყენებოდა და არც მოძრაობას დაუკლია რამე მისი კუჭისთვის. გვიკვირს, რათ დაიჩივლა ტირილი და თავში ცემს! ან კი მაშ რითი მოეკლა მოსულთა გული და რით დაემტკიცებინა, რომ, „თუმცა ჩემი სამსახური ამას არ მავალებდა, მაგრამ ერთგულად ვმოღვაწეობდი, რომ ხალხმა მოსაკლავადაც კი გამიმეტა, აბა თქვენ იცით, როგორც შესაფერადაც დასჯითო?!“

რას იზამს კაცი, ქვეყანა ჭრელია და ამიტომაც ზოგიერთი აქაური ჭკუა-მოკლე მასწავლებლებიც და ქარაფშუტა ბარიშნებიც აჭრელდნენ, ატუხტუხდნენ: „მოსულებს თავის შაქლავ“ უნდათ, ოქროს ბრჭყვიალა სირმებს პატივი უნდა ვცეთო. ნუ გამტყუნებთ! ისინი ხომ „სტუმრები“, „სამტროდ“ ხომ არ მოსულან?!

აქ ყველა სასწავლებლებში სწავლა შეწყვეტილი იყო, გარდა ქალების საქალაქო სკოლისა და 7 მარტს იქაც შეწყდა. სწავლის შეწყვეტისას მოწაფეებმა სკოლის ფანჯრები ჩაამტვრიეს და სურათები დახიეს. „ნაჩალნიკებმა“ „პატარა ბუნტოვშიკების“ გასარეკად კაზაკები მოითხოვა, მაგრამ, ვიდრე ისინი მოვიდოდნენ, მოწაფენი უკვე წასული იყვნენ. რამდენისამე დღის შემდეგ მოსწავლეებმა სკოლის მთავრობას თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ეს მოთხოვნილებანი დაახლოვებით ისეთივეა, როგორც სხვა სასწავლებლებისა.

ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამდვილი კავთარაძე ამ დღეებში აქ ჩამოვიდა. როგორც ამბობენ, ისევ თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგებაო.

ჭინკაი.

წერილი რედაქციის მიმართ.

პროტესტი

უმორჩილესად გთხოვთ, საშუალება მოგვცეთ, თქვენის გაზეთით გამოვუცხადოთ ჩვენი გულითადი უკმაყოფილება და პროტესტი იმ ზოგიერთ თავად-აზნაურთაგანს, რომელნიც კერძო ყრილობაზე ან სხვა დაწესებულებაში აცხადებენ სურვილს, რომ მიღებულ იქნას რაიმე რეპრესიული ღონისძიებანი წინააღმდეგ იმ მოძრაობისა, რომელმაც ამ ბოლოს დროს თავი იჩინა გლეხთა და მემამულეთა შორის. ამ უკმაყოფილებას ვაცხადებთ იმიტომ, რომ ჩვენ,—როგორც მუდმივ სოფელში მცხოვრებნი და გლეხთა შორის განუწყვეტელი კავშირის მქონნი,—ვიცით დაჭეშმარიტებით, რა შედეგი მოჰყვება ორივე მხრის საზარალოდ, თუ რაიმე სასტიკი ზომები იქმნა მიღებული. ჩვენის მხრივ ვურჩევთ ყოველ გონიერ თავად-აზნაურს, ნუ მოერიდება ამ მოძრაობას, შეუერთდეს მას და ერთი-ერთმანეთის დახმარებით მოაწესრიგოს საერო საზოგადო საქმე

ამასთან გვაკვირვებს და გვაოცებს დღევანდელ დიდ-მნიშვნელოვანისა და გაჭირვების დროს ასეთი სიჩუმე და უსაქმობა თავად-აზნაურთა ზოგიერთ წინამძღოლისა. ჩვენ გვგონია, სწორედ პირდაპირ მათ მოვალეობას უნდა შეადგენდეს, რომ მიიღონ მონაწილეობა, დაიარონ სოფლები, ინახულონ თავად-აზნაურნი, შეიტყონ მათი გაჭირვება და დაარიგონ, რა ღონისძიებით არის შესაძლებელი დაბოლოვება ასეთ გამწვავებულ მდგომარეობისა.

ეხლა დადგა იმისთანა ჟამი, რომ უსაქმობა, უსიეჟყოება არავის ეპატიება, დროა, ვისაც როგორ შეუძლიან, უშველოს გაჭირვებულს ყოველ წოდების კაცს.

დასასრულ, საჯაროდ, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ის პირი, რომელიც ჩვენის დედა-ენისა და ჩვენის მკვდრეთით აღდგომილ ქართულ პრესის წინააღმდეგი იქმნება და რაიმე ზვნების მოტანას ეცდება,—ის პირი მიგვაჩნდება ჩვენ პირად მოსისხლე მტრად.

ლუარსაბ ერისთავი.
ნიკოლოზ კეცხოველი.
ალექსან. ფავლენიშვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 მარტი.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა შორეულ აღმოსავლეთიდან 20 მარტს არ მოსულა.

შანჰაი, 18 მარტი. იაპონიის ლაშქარი კიდევ მისდევს რუსის ჯარს სხვადასხვა მხრიდან. ფუშანიდან მიმავალმა რაზმმა ხაილუჩენი დაიჭირა გირინის გზაზე. კაიუანიდან მიმავალი რაზმი ლანხუანჯანს მივიდა, 25 მილის სიშორეზე კაიუანიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთად. ფაკუმიდან მიმავალი რაზმი დაპუმდე ავიდა, რომელიც ფაკუმინის ჩრდილო აღმოსავლეთად არის 50 მილის მანძილზე.

შანჰაი, 20 მარტი. იაპონელები გაჩქარებით მისდევენ რუსებს. იაპონელების მოწინავე რაზმი კუანჩენძის უახლოედება. იაპონელებმა მუკდენში 30 დიდი თანამდებობის მოხელე დაატუსაღეს, რადგან რუსებთან ურთიერთობას აბრალებენ.

ტოკიო. მანჯურიიდან იტყობინებიან, რუსები სულ წინანდელზე მეტად ანადგურებენ რკინის გზის ლიანდაგს. ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ამ ადგილების დაბრუნების იმედი გადაუწყვეტია.

ვაშინგტონი. რუზველტის წასვლა ამტკიცებს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკების იმედი აღარ უნდა ვიქონიოთ. პრეზიდენტმა შესაფერი პასუხი ვერ მიიღო. არც რუსეთმა და არც იაპონიამ ოფიციალურად არა აცნობეს-რა. ჯერ აცნობეს, იაპონიას კონტრიბუცია არ უნდაო; შემდეგ კი იაპონიამ თავის მოთხოვნილებას დაუმატა და კონტრიბუცია უსათუო პირობად გამოაცხადა. რუსეთის მიერ კონტრიბუციის უარყოფამ და იაპონიის მხრივ საბოლოოდ გამარჯვების იმედმა რუზველტის მეცადინეობას ხელი შეუშალეს.

ტოკიო, 19 მარტი. მანჯურიის ლაშქრის უმთავრეს ბანაკიდან ცნობა მოვიდა, რომ რუსების კავალერიის მოწინავე რაზმებს ჩანტუს ჩრდილოეთად დაუწევიათ, 35 მილის მანძილზე. სხვა მაგისთანავე რაზმები ფაკუმენის ჩრდილო-აღმოსავლეთად არიან 30 მილის მანძილზე. 4000 რუსმა ხილუნისკენ დაიწია და შანჩენპუსთან 2000 მხედარი დასტოვა.

გიბრალტარი. იმპერატორი ვილჰელმი გუშინ მაგონს გაემგზავრა, სადაც ბოლეარის კუნძულების უფროსი მიეგებება, როგორც მეფის წარმომადგენელი. გაზეთები ხალხს იწვევენ ისპანიისა და გერმანიის ერთობის სურვილი გამოიჩინოს.

ბუდაპეშტი. რადგან ოპოზიცია სულ უარზეა, იმპერატორმა მისცა ფინანსთა მინისტრს ლუკაჩს ახალი კაბინეთი შეადგინოს. თუ ესეც არ მოხერხდა, პარლამენტი დათხოვნილ იქმნება. ლიბერალებს იმედი აქვთ, რომ ახალ არჩევნებზე გაიმარჯვებენ.

მოსკოვი, 21 მარტი. გამოცხადებულია მინისტრის ნებართვა ექიმთა კრების შესახებ, იმ პირობით კი, რომ კრებაზე მხოლოდ ექიმები ესწრებოდნენ და მხოლოდ სამეცნიერო საკითხებს იკვლევდნენ.

ტანჟერი. ამბობენ, ხონთქარმა აცნობა საფრანგეთის ელჩს, შეუძლებელია საფრანგეთის მოთხოვნილება სულ დავაკმაყოფილოო, რადგან 1880 წ. მადრიდის კონვენციას არ ეთანხმებაო. ხონთქარი თანხმაა რეფორმები შემოიღოს მხოლოდ სანავთსადგურო ქალაქებში.

კანეა. აჯანყებულებმა ოფიციალურად განუცხადეს სახელმწიფოებს, რომ კრიტის შეერთება საბერძნეთთან სასურველი არ არის. ისინი რვა დღის ვადას თხოულობენ სასურველ რეფორმების პროექტის შესამუშავებლად და წარსადგენად. რუსეთის, საფრანგეთის და ინგლისის გემები კანეაშია. აქაური მთავრობა თხოულობს, რომ ჯარმა ნებაყოფლობით დაამორჩილოს აჯანყებულები ან არა და იერიში მიიტანოს.

ეკატერინბურგი. ბელინსკის სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკის საზოგადოება შუამავლობს, რომ ბიბლიოთეკაში ყველა ცენზურისაგან ნებადართული წიგნები და ჟურნალები იყოს.

ვარშავა, 21 მარტი. დიკაია ქუჩაზე სამხედრო პატრულს ებრაელთა ჯგუფი დაეცა და რევოლვერებით სროლა დაუწყო. პატრულმაც სროლა აუტეხა. ჯგუფში დაიჭრა 9, მოკლულია 2. პატრულს არა ევნო-რა.

ოდესსა, 20 მარტი. დღეს იდღესასწაულეს ჰანს-ქრისტიან ანდერსენის დაბადების დღის ასის წლის თავი.

ბელგრადი, 20 მარტი. ის ამბავი, ვითომც მემკვიდრემ ნადირობის დროს მსახური დასჭრა, მართალი არ არის. პრინცის მხლებელმა ექიმმა შემთხვევით დასჭრა მსახური, წელის პირს მდგომარე.

კიევი, 20 მარტი. გადაწყვეტილია, რომ უნივერსიტეტში გამოცდა იქმნება ფილოლოგიურ, სამათემატიკო და იურიდიულ ფაკულტეტებზე. თხოვნებს მიიღებენ 22 მარტიდან 26 აპრილამდე.

როსტოვი-დონისა. ნოქრებმა დაადგინეს, იშუამდგომლონ, რომ მათი წარმომადგენელიც მიიწვიონ საკანონმდებლო საბჭოში.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ლაგოდეხიდან, ამხანაგობის **„შრომის“** (კ. აფრიკიანის) **სანერგეებიდან**, ჩამოტანილია 1—3 წლის **ხეხილები** და სხვადასხვა ჯიშის **ხეხილის ნერგები**. იყიდება ტფილისსა და გორში. მსურველთ მიჰმართონ: ტფილისში—„მელიქ ბახტამიანცისა და ამხ.“-ის მაღაზიას, პუშკინის ქუჩაზე, გორში,—კ. აფრიკიანს. (6—5)

სპობს სრულებით შეუწუხებლად **ბებერას, მეჭეჭებს, ლაქებს, ხელის და ფეხის ოფლს** და ბრჩხილების ზრდას სისწორეს აძლევს **ი. სილნიცკი**, პუშკინის ქუჩა № 20.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 21 марта 1905 г

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.